



# ევროპული ქარტია

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა  
და კაცთა თანასწორობის შესახებ

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო (CEMR)



მიღებულია ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს პოლიტიკის კომიტეტის მიერ 2006 წელს  
ცვლილებები შეტანილია ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს პოლიტიკის კომიტეტის მიერ 2022 წელს

ყველა უფლება დაცულია ©2022 – CCRE CEMR  
საკონტაქტო ინფორმაცია: [charter@ccre-cemr.org](mailto:charter@ccre-cemr.org)



## **ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ**

ქარტიაში განსაზღვრულია ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების ვალდებულებები გამოიყენონ საკუთარი უფლებამოსილებები და თანამშრომლობის შესაძლებლობები მოსახლეობის თანასწორობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების მიზნით





## შესავალი

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ ევროპული ქარტია შედგენილია ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებებისთვის, რომლებიც ქარტიაზე ხელმოწერით ოფიციალურად იღებენ საჯარო ვალდებულებას დაიცვან ქალთა და კაცთა თანასწორობის პრინციპი და მათი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე შეასრულონ ამ ქარტით ნაკისრი ვალდებულებები.

ამ ვალდებულებათა შესრულებისთვის, თითოეული ხელმოწერი („ხელმოწერი“) იღებს პასუხისმგებლობას, შეიმუშაოს თანასწორობის სამოქმედო გეგმა, სადაც განვლილი იქნება ამ მიმართულებით არსებული პრიორიტეტები, საქმიანობა და რესურსები.

ამასთანავე, თითოეული ხელმოწერი ვალდებულებას იღებს, იმუშაოს მის ტერიტორიაზე არსებულ ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან, რათა პრაქტიკაში განხორციელდეს რეალური თანასწორობის მიღწევის ხელშეწყობა.

ქარტია, ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭომ (CEMR) 2005-2006 წლებში განხორციელებული პროექტის ფარგლებში, საკუთარ წევრებთან და პარტნიორებთან ერთად შეიმუშავა (იხ. მადლობის ნაწილი). პროექტმა ევროკომისიის მხარდაჭერა კაცთა და ქალთა თანასწორობის მეხუთე სამოქმედო პროგრამის ფარგლებში მიიღო.

2011-2012 წლებში, ხელმოწერების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში მხარდაჭერის მიზნით, შვედეთის მთავრობის დახმარებით, შვედეთის ადგილობრივ თვითმმართველობათა და რეგიონთა ასოციაციის (SALAR) მიერ შეიქმნა ონლაინ ობსერვატორია,<sup>1</sup> როგორც ქარტიაში აღნიშნული თემების შესახებ ინფორმაციის, რეკომენდაციების და საუკეთესო პრაქტიკის ბაზა.

2014-2015 წლებში, ევროკომისიის მიერ მხარდაჭერილი საპილოტე პროექტის ფარგლებში, ქარტიის

განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შემუშავდა და შემოწმდა ინდიკატორების სია.

2021 წელს, CEMR-ის თანასწორობის მუდმივმოქმედი კომიტეტის ინიციატივით, ქარტიის გადახედვისა და, საჭიროების შემთხვევაში, მისი განახლების საკითხი დაისვა. გადახედვის შედეგად კომიტეტმა დაასკვნა, რომ არსებობდა ქარტიაში ცვლილებების შეტანის საფუძველი, კერძოდ:

- ქარტიის ტერმინოლოგიის დასახვეწად და სარედაქციო ტიპის ცვლილებების შესატანად;
- სახელმძღვანელო პრინციპზე - „ყოველთვის გენდერი, არასოდეს მხოლოდ გენდერი“, აქცენტის შენარჩუნების პარალელურად, ქარტიაში, ინტერსექციური პერსპექტივის გამოკვეთისა და განმტკიცებისათვის.
- ცალკეულ თავში ახალი მუხლების სახით რამდენიმე არსებითი დამატების შესატანად, რომელიც კრიზისის მართვისა და სამოქალაქო მზაობის პროგრამების გენდერული პრიზმიდან დანახვასა და ინტერნეტისა და ციფრული სამყაროს სწრაფ განვითარებაში გენდერული პერსპექტივის გამოყენებას ითვალისწინებს.
- თავი, რომელსაც ახალი მუხლები დაემატა, 39-ე გვერდზეა წარმოდგენილი. ქარტია ასევე იწვევს ამჟამინდელ ხელმოწერებს, მიუერთდნენ აღნიშნულ დებულებებს, მოახდინონ მისი რატიფიცირება და თანასწორობის ევროპული ქარტიის შესრულებისას გაითვალისწინონ შესაბამისი დებულებები. 2023 წლიდან თანასწორობის შესახებ ევროპული ქარტიის ნებისმიერმა ახალმა ხელმოწერმა ავტომატურად უნდა შეასრულოს როგორც ქარტიის ორიგინალი ვერსიით გათვალისწინებული, ისე 2022 წლის დანართებით ნაკისრი ვალდებულებები.

**2022 წლის ცვლილებების განხორციელება შესაძლებელი გახდა ევროკავშირის დაფინანსებით, რომელიც მოქალაქეობის, თანასწორობის, უფლებებისა და ღირებულებების პროგრამის ფარგლებში გამოიყო.**

1 [www.charter-equality.eu](http://www.charter-equality.eu)



# ზოგადი მიმოხილვა

**ქალისა და კაცის თანასწორობა ფუნდამენტური უფლებაა ყველასთვის და მნიშვნელოვანი ღირებულება ნებისმიერი დემოკრატიისთვის. პრაქტიკაში ამის მიხედვით საჭიროა არა მხოლოდ მისი სამართლებრივი აღიარება, არამედ ეფექტიანად გამოყენება ცხოვრების ყველა ასპექტში, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული ასპექტები.**

ფორმალური აღიარებისა და მიღწეული პროგრესის მრავალი მაგალითის მიუხედავად, ქალებისა და კაცების თანასწორობა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჯერაც არ არის რეალობა. ქალები და კაცები პრაქტიკაში ერთი და იგივე უფლებებით ვერ სარგებლობენ. სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უთანასწორობა კვლავაც შენარჩუნებულია - მაგალითად, გენდერული განსხვავება ანაზღაურებაში და ის, რომ ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილი პოლიტიკაში.

აღნიშნული უთანასწორობა სტერეოტიპებში ფესვგადგმული სოციალური კონსტრუქტების შედეგია, რომელიც დამკვიდრებულია ოჯახში, განათლებაში, კულტურაში, მედიაში, შრომის ბაზარსა და საზოგადოების მონაცობაში. თუმცა, არსებობს მრავალი სფერო, რომელშიც ახალი მიდგომის გამოყენებითა და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებით შესაძლებელია სათანადო ზომების მიღება.

გენდერული თანასწორობა და ევროკავშირის მმართველობა

ქალსა და კაცს შორის თანასწორობა ევროკავშირისა და ევროპის ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია, რომელიც 1957 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც რომის ხელშეკრულებაში თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი განისაზღვრა.

ადგილობრივი თვითმმართველობა და რეგიონული ხელისუფლება, როგორც ხალხთან ყველაზე ახლოსმდგომი მმართველობა, ხელისუფლების საუკეთესო დონეა უთანასწორობის შენარჩუნებისა და გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლისა და ჭეშმარიტად ეგალიტარული საზოგადოების დამკვიდრებისთვის. მათი უფლებამოსილებისა და არსებული კავშირების საფუძველზე, ადგილობრივი აქტორების სრულ სპექტრთან თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს კონკრეტული ქმედებები ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის ხელშეწყობისთვის.

უფრო მეტიც, სუბსიდიარობის პრინციპი<sup>2</sup> განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა და კაცთა შორის თანასწორობის უფლების პრაქტიკულ განხორციელებასთან მიმართებაში. ეს პრინციპი მმართველობის ყველა დონეზე ვრცელდება, იქნება ეს ევროპული, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი დონე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებები სხვადასხვა სახის მოვალეობას ასრულებენ, ყველა მათგანს შეუძლია რეალურად შეასრულოს და უნდა შეასრულოს კიდევ კონსტრუქციული როლი თანასწორობის ხელშეწყობის პროცესში, რაც დადებითად იმოქმედებს მათი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის პრინციპები მჭიდროდ უკავშირდება სუბსიდიარობის პრინციპს. ევროპის საბჭოს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია, რომელიც 1985 წელს მიიღეს, ხელმძღვანელი და რატიფიცირებულია ევროპის სახელმწიფოების დიდი უმრავლესობის მიერ. იგი ხაზს უსვამს „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი ნილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად“. თანასწორობის

2 ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, ეს არის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ევროკავშირი არ ახორციელებს ქმედებას (გარდა იმ სფეროებისა, რომლებიც მის ექსკლუზიურ კომპეტენციას განეკუთვნება), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ქმედება უფრო ეფექტური შეიძლება იყოს, ვიდრე ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე განხორციელებული ღონისძიებები.

უფლების განხორციელება და ხელშეწყობა ადგილობრივი თვითმმართველობის ამ კონცეფციის განუყოფელ ასპექტად უნდა განიხილებოდეს.

ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატია უნდა გვეხმარებოდეს ყველაზე შესაფერისი არჩევანის გაკეთებაში, ყოველდღიური ცხოვრების ისეთ ძირითად ასპექტებთან მიმართებაში, როგორებიცაა: საცხოვრისი, უსაფრთხოება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სამუშაო ან ჯანდაცვა.

ამასთანავე, ქალების სრული ჩართულობა ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, უზრუნველყოფს იმას, რომ მათი ცხოვრებისეული გამოცდილება, „ნოუ-ჰაუ“ და კრეატიულობა საზოგადოებისთვის სასარგებლოდ იქნას გამოყენებული და არა უმიზნოდ გაფლანგული.

თუ თანასწორობაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნა გვსურს, მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებებმა საკუთარ პოლიტიკაში, ორგანიზაციასა და პრაქტიკაში გენდერული ასპექტების სრულად ინტეგრირება შეძლონ.

ქალისა და კაცის არსებითი თანასწორობა, ასევე, არის ჩვენი ეკონომიკური და სოციალური წარმატების გასაღები - არა მხოლოდ ევროპულ ან ეროვნულ დონეზე, არამედ ჩვენს რეგიონებში, ქალაქებსა და ადგილობრივ თემებში - დღევანდელ და ხვალისთვის სამყაროში.

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო (CEMR) და გენდერული თანასწორობა ადგილობრივ/რეგიონულ დონეზე

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო (CEMR), თანასწორობის მუდმივმოქმედ კომიტეტთან<sup>3</sup> ერთად, 1980-იანი წლებიდან აქტიურად უჭერს მხარს ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე ქალთა და კაცთა თანასწორობას. ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების

ერთ-ერთი კონკრეტული ინსტრუმენტი, რომელიც ამ სამუშაოს შედეგად შეიქმნა, იყო - „ქალაქი თანასწორობისთვის“, რომელიც CEMR-მა 2005 წლიდან ამოქმედდა. ევროპის სხვადასხვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით, ინსტრუმენტმა „ქალაქი თანასწორობისთვის“ ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განსახორციელებლად პირველი მეთოდოლოგია დანერგა. წინამდებარე ქართია, რომელიც 2022 წელს განახლდა, ამ სამუშაოს ეფუძნება.

CEMR-ის პირველი კვლევა, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა წარმომადგენლობას ეხებოდა, 1998 წელს გამოქვეყნდა, ხოლო დამატებითი კვლევის მიგნებები - 2008 წელს, მეორე გამოცემაში. 2019 წელს კვლევა ისევ განახლდა და გაფართოვდა, რათა მოეცვა ევროპის 40 ქვეყანა და აესახა ყველა დონეზე გადანაცვლების მიღების პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში იზრდებოდა ქალი პოლიტიკოსებისა და ლიდერების წილი, ყოველი მომდევნო კვლევა ისევ ადასტურებდა უკიდურეს აუცილებლობას, გაგრძელებულიყო გენდერული ბალანსის ადვოკატირება პოლიტიკურ მონაწილეობაში, წარმომადგენლობასა და გავლენაში.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების როლი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროცესში დადასტურდა IULA-ს (ადგილობრივი თვითმმართველობების საერთაშორისო კავშირი<sup>4</sup>) მსოფლიო დეკლარაციით „ქალები ადგილობრივ ხელისუფლებაში“, რომელიც 1998 წელს მიიღეს. ახალი მსოფლიო ორგანიზაცია - გაერთიანებული ქალაქები და ადგილობრივი ხელისუფლებები - მის ერთ-ერთ პრინციპულ ამოცანად ინარჩუნებს ქალისა და კაცის თანასწორობის დაცვას. CEDAW: კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

3 წარსულში მოიხსენიებოდა როგორც CEMR-ის ადგილობრივ და რეგიონულ სახელისუფლებო ორგანოებში არჩეული ქალი წარმომადგენლების კომიტეტი.  
 4 ადგილობრივი ხელისუფლებების საერთაშორისო კავშირმა და გაერთიანებული ქალაქების ორგანიზაციამ შერწყმის შემდეგ არსებობა შეწყვიტა 2000-იანი წლების დასაწყისში და ასე გაჩნდა ახალი ორგანიზაცია: გაერთიანებული ქალაქები და ადგილობრივი ხელისუფლებები.



## აბრევიატურები

CEMR: ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო

CSE: ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლება

EU: ევროკავშირი

GBV: გენდერული ნიშნით ძალადობა

ICT: საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

LRGS: ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებები

SDG: მდგრადი განვითარების მიზნები

STEM: მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა





## პრეამბულა

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო, წარმოადგენს რა ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს, თავის წევრებთან და პარტნიორებთან თანამშრომლობით:

ეხმანება იმ ფაქტებს, რომ ევროპული თანამეგობრობა და კავშირი ეფუძნება ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის ხელშეწყობასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობას, და რომ ევროპული კანონმდებლობა ამ სფეროში ევროპაში მიღწეული პროგრესის საფუძველია;

ითვალისწინებს, საერთაშორისო და ევროპულ საკანონმდებლო ჩარჩოს ადამიანის უფლებების, ქალთა და კაცთა თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, კერძოდ:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948);
- კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979);
- პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (1995);
- ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და კაცთა დაბალანსებული მონაწილეობის შესახებ (1996);
- ადგილობრივი ხელისუფლებების საერთაშორისო კავშირის მსოფლიო დეკლარაცია - „ქალები ადგილობრივ ხელისუფლებაში“ (1998);
- 2000 წელს გენერალური ასამბლეის 23-ე სპეციალურ სესიაზე მიღებული რეზოლუციები (პეკინი +5);
- გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია 1325 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე (2000);

- ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის 27 ნოემბრის დირექტივა 2000/78/EC, რომელიც ადგენს დასაქმებისა და საქმიანობისას თანასწორი მოპყრობის ზოგად ჩარჩოს;
- ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია (2000);
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია – მიღებულია 2011 წელს);
- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები, განსაკუთრებით, მე-5 მიზანი (2015);
- ევროპის სოციალურ უფლებათა სვეტი (ამოქმედდა 2017 წელს);
- თანასწორობის თაობის გლობალური აქსელერაციის გეგმა (2021).

**ხაზს უსვამს** ევროპის საბჭოს მნიშვნელოვან წვლილს ადამიანის უფლებათა, ქალთა და კაცთა თანასწორობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერის საქმეში;

**ითვალისწინებს**, რომ თანასწორობა ქალებსა და კაცებს შორის გულისხმობს წებას, განხორციელდეს ქმედებები სამი დამატებითი მიმართულებით, კერძოდ: როგორც პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი უთანასწორობის აღმოფხვრა და თანასწორუფლებიანი და დემოკრატიული პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური სტრუქტურების განვითარება;

**წუხილს გამოთქვამს** იმ ფაქტის გამო, რომ კვლავ არსებობს შეუსაბამობა თანასწორობის უფლების დე იურე აღიარებასა და პრაქტიკაში მის ეფექტიანად აღსრულებას შორის;

**ითვალისწინებს**, რომ ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებები, როგორც საკუთარი მოქალაქეებისა და მცხოვრებლების წარმომადგენლები, ასრულებენ გადამწყვეტ როლს მათი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ ყველა სფეროში - დისკრიმინაციის გარეშე, ყველა ქალისა და კაცისათვის თანასწორობის ფუნდამენტური უფლების გარანტირებულად განხორციელების პროცესში;

**ითვალისწინებს**, რომ ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობა, წარმომადგენლობა ხელმძღვანელ

პოზიციებზე და გავლენა გადამწყვეტილების მიღების პროცესზე არსებითი მნიშვნელობისაა დემოკრატიისთვის, ეკონომიკური წინსვლისა და მდგრადი განვითარებისთვის;

**ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭომ შეიმუშავა წინამდებარე ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა შორის თანასწორობის შესახებ, რითაც მოუწოდებს ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს, ხელი მოაწერონ და პრაქტიკაში განახორციელონ მისი დებულებები.**



# ნაწილი I

## პრინციპები

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ წინამდებარე ქართის ხელმომწერები მათი საქმიანობის მამოძრავებელ ფუნდამენტურ პრინციპებად აღიარებენ შემდეგს:

### 1. ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობა ფუნდამენტური უფლებაა.

ეს უფლება უნდა განახორციელონ ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებებმა მათი უფლებამოსილების ყველა სფეროში, რაც გულისხმობს ვალდებულებას, აღმოფხვრან ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია, იქნება ეს პირდაპირი თუ არაპირდაპირი.

### 2. ქალთა და კაცთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია დისკრიმინაციისა და არახელსაყრელი მდგომარეობის მრავალმხრივი და ინტერსექციური ფორმების აღმოფხვრა.

ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის მისაღწევად, გენდერულ თანასწორობაზე მიმართული ძალისხმევის განხორციელებისას, ყოვლისმომცველი, სისტემური და სტრუქტურული პერსპექტივიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია გენდერის მიმართება სხვა ისეთ ფაქტორებთან, როგორებიცაა: სქესი, რასა, კანის ფერი, ეთნიკური ან სოციალური მიკუთვნებულობა, გენეტიკური მახასიათებლები, ენა, რელიგია ან რწმენა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებები, ეროვნული უმცირესობასთან მიკუთვნებულობა, ქონება, დაბადების ადგილი, შეზღუდული შესაძლებლობა, ასაკი ან სექსუალური ორიენტაცია<sup>5</sup>.

### 3. ქალებისა და კაცების დაბალანსებული მონაწილეობა და წარმომადგენლობა გადანყვეტილების მიღების პროცესში დემოკრატიული საზოგადოების წინაპირობაა.

ქალთა და კაცთა თანასწორობის უფლება მოითხოვს, რომ ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებებმა მიიღონ ყველა საჭირო ზომა და დაამტკიცონ შესაბამისი სტრატეგიები, რათა ხელი შეუწყონ ქალებისა და კაცების დაბალანსებულ წარმომადგენლობას და მონაწილეობას გადანყვეტილების მიღების პროცესში.

### 4. გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ქალთა და კაცთა თანასწორობის მისაღწევად.

ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებებმა უნდა იმუშაონ იმ სტერეოტიპებისა და დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად, რომელიც საფუძვლად უდევს ქალების უთანასწორობას სტატუსისა და მდგომარეობის მიხედვით და წარმოშობს შეუსაბამო შეფასებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებში ქალებისა და კაცების როლების შესახებ.

### 5. ქალთა და კაცთა თანასწორობის მხრივ პროგრესის მისაღწევად აუცილებელია გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების საქმიანობის ყველა სფეროში.

გენდერული პერსპექტივა გასათვალისწინებელია პოლიტიკის, მეთოდებისა და იმ ინსტრუმენტების შემუშავებისას, რომელიც გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის

5 ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქართის 21-ე მუხლი.

ყოველდღიურ ცხოვრებაზე. შესაძლებელია ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორც არის: „გენდერული შეფასებები“<sup>6</sup>, „გენდერული აუდიტი“<sup>7</sup>, „გენდერული მენისტრიმინგი“<sup>8</sup> და „გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტირება“<sup>9</sup>. ამ მიზნით, გასაანალიზებელი და გასათვალისწინებელია ქალთა სხვადასხვა ჯგუფის გამოცდილება ადგილობრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებთან, მათ შორის - საცხოვრებელ და სამუშაო პირობებთან მიმართებაში.

## **6. სათანადოდ შემუშავებული და დაფინანსებული სამოქმედო გეგმები და პროგრამები ქალთა და კაცთა თანასწორობის გაუმჯობესების მიზნულ-ლოჯანი ინსტრუმენტებია.**

ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებებმა თანასწორობის სამოქმედო გეგმები და პროგრამები უნდა შეიმუშაონ და მათი განხორციელებისთვის საჭირო ადეკვატური ფინანსური და ადამიანური რესურსები გამოყონ.

აღნიშნული პრინციპები საფუძვლად უდევს III ნაწილში მოცემულ მუხლებს.

- 6 გენდერული შეფასება: „პოლიტიკის ინსტრუმენტი იმისთვის, რომ შემოწმდეს წარდგენილი პოლიტიკის წინადადება, შეფასდეს ქალებისა და კაცებზე მისი დიფერენცირებული ზემოქმედება ან გავლენა და წინადადების დამტკიცებამდე გამოსწორდეს არსებული დისბალანსი“ (წყარო: ევროპის საბჭო [2011]. კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ და მისი განმარტებითი ბარათი. ევროპის საბჭოს ხელშეკრულების სერია No 210.)
- 7 გენდერული აუდიტი: „იმის შემოწმება, თუ რამდენად ეფექტიანადაა ინტეგრირებული გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში, პროგრამებში, ორგანიზაციულ სტრუქტურებსა და პროცესებში (გადაწყვეტილების მიღების პროცესების ჩათვლით) და შესაბამის ბიუჯეტებში“ (წყარო: ევროპის საბჭო - ადამიანის უფლებათა და იურიდიულ საკითხთა გენერალური დირექტორატი [2009]. გენდერული ბიუჯეტი: პრაქტიკული განხორციელება. სახელმძღვანელო მომზადებული შილა ქუინის მიერ).
- 8 გენდერული მენისტრიმინგი: „გენდერული პერსპექტივის მენისტრიმინგი არის პროცესი, რომელიც აფასებს ყველა სფეროში და ყველა დონეზე ნებისმიერი დაგეგმილი საქმიანობის, მათ შორის კანონმდებლობის, პოლიტიკისა თუ პროგრამების სავარაუდო გავლენას ქალებისა და კაცებზე. ეს სტრატეგია გულისხმობს ქალებისა და კაცების საჭიროებებისა და გამოცდილების ინტეგრირებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში სხვადასხვა პოლიტიკისა და პროგრამების შედგენის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების დროს, რათა ქალებმა და კაცებმა თანაბარი სარგებელი მიიღონ და არ გაგრძელდეს უთანასწორობა. საბოლოო მიზანი გენდერული თანასწორობის მიღწევაა“ (წყარო: გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი, გენდერული თანასწორობის ლექსიკონი და ენციკლოპედია).
- 9 გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტირება: „ბიუჯეტების გენდერული შეფასება, რომელიც მოიცავს გენდერულ პერსპექტივას ჩართვას საბიუჯეტო პროცესის ყველა დონეზე და შემოსავლებისა და ხარჯების რესტრუქტურირების გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით“ (წყარო: ევროპის საბჭო, 2009 წ.).



## ნანილი II

### ქარტიისა და მისი ვალდებულებების განხორციელება

ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, განახორციელოს ამ ქარტიის დებულებები, რისთვისაც გადადგამს შემდეგ კონკრეტულ ნაბიჯებს:

- (1) ამ ქარტიის ყოველი ხელმომწერი, მისი ხელმომწერის თარიღიდან გონივრულ ვადაში (არაუმეტეს ორი წლისა) შეიმუშავებს და მიიღებს თანასწორობის სამოქმედო გეგმას, რომელსაც შემდგომ განახორციელებს.
- (2) თანასწორობის სამოქმედო გეგმა უნდა ასახავდეს ხელმომწერის მიზნებსა და პრიორიტეტებს, ნებისმიერ დონისძიებას, რომლის განხორციელებასაც იგი გეგმავს და რესურსებს, რომლებიც ქარტიისა და მისი ვალდებულებების შესასრულებლად გამოიყოფა. გეგმაში ასევე უნდა აღინიშნოს განხორციელების სავარაუდო ვადები. იმ შემთხვევაში, თუ ხელმომწერს უკვე აქვს თანასწორობის სამოქმედო გეგმა, აუცილებელია მისი გადახედვა იმისთვის, რომ გეგმა ასახავდეს ქარტიით გათვალისწინებულ აქტუალურ საკითხებს, მათ შორის, 2022 წელს დამატებულ 31-39-ე მუხლებს.
- (3) თანასწორობის სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე, თითოეულმა ხელმომწერმა ფართო კონსულტაციები უნდა გამართოს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, ხოლო გეგმის დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოს მისი ფართოდ გავრცელება. გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით მან, ასევე, უნდა გამოაქვეყნოს გეგმის განხორციელების რეგულარული საჯარო ანგარიშები.
- (4) თითოეულმა ხელმომწერმა საჭიროებისამებრ უნდა გადახედოს თანასწორობის სამოქმედო გეგმას და ყოველი მომდევნო პერიოდისთვის შეიმუშაოს განახლებული გეგმა.

- (5) თითოეული ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ქარტიის განხორციელების მონიტორინგის პროცესს და გამოიყენოს შეფასების სისტემის ფარგლებში ამ მიზნით<sup>10</sup> შემუშავებული ინდიკატორები; ასევე, ხელი შეუწყოს თავიანთ ტერიტორიებზე გენდერული თანასწორობის მიღწევის ეფექტიანი საშუალებების შესახებ ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს შორის გამოცდილების გაზიარებას. ამ მიზნით, ხელმომწერებმა თანასწორობის საკუთარი სამოქმედო გეგმები და სხვა შესაბამისი საჯარო მასალები ხელმისაწვდომი უნდა გახადონ.
- (6) თითოეულმა ხელმომწერმა წერილობით უნდა აცნობოს ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს ქარტიაზე ხელმომწერის შესახებ, მიუთითოს ხელმომწერის თარიღი და საკონტაქტო პირი თანამშრომლობისა და ქარტიის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

<sup>10</sup> <https://bit.ly/IndicatorToolEN>



## ნაწილი III

### დემოკრატიული ანგარიშვალდებულება

#### მუხლი 1 – პოლიტიკური პასუხისმგებლობა

- (7) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალთა და კაცთა თანასწორობის უფლება დემოკრატიის ფუნდამენტური წინაპირობაა და რომ დემოკრატიული საზოგადოება ვერ მოახდენს ქალების მრავალფეროვანი უნარების, ცოდნის, გამოცდილებისა და კრეატიულობის იგნორირებას. შესაბამისად, თანასწორობის საფუძველზე, მან უნდა უზრუნველყოს განსხვავებული გამოცდილებისა და განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფის ქალების ჩართულობა, წარმომადგენლობა და მონაწილეობა პოლიტიკური და საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- (8) ხელმომწერი, როგორც დემოკრატიულად არჩეული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საკუთარ მოსახლეობასა და ტერიტორიაზე უზრუნველყოს კეთილდღეობა, ვალდებულებას იღებს, ხელი შეუწყოს და გააძლიეროს ამ უფლების პრაქტიკული გამოყენება მისი საქმიანობის ყველა სფეროში. რაც მისი, როგორც ადგილობრივი საზოგადოების დემოკრატიული ლიდერის, მომსახურების მიმწოდებლის და დამკვეთის, დამგეგმავის, მარეგულირებლის, და დამსაქმებლის უფლებამოსილების განუყოფელი ნაწილია.

### პოლიტიკური როლი

#### მუხლი 2 – პოლიტიკური წარმომადგენლობა

- (1) ხელმომწერი აღიარებს, ქალის და კაცის თანაბარ უფლებებს, ისარგებლონ ხმის მიცემის უფლებით, კენჭი იყარონ არჩევნებზე და დაიკავონ არჩევითი თანამდებობა.
- (2) ხელმომწერი აღიარებს ქალის და კაცის თანაბარ უფლებებს, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, დაიკავონ საჯარო თანამდებობები და მმართველობის ყველა დონეზე შეასრულონ ყველა საჯარო ფუნქცია.
- (3) ხელმომწერი აღიარებს დაბალანსებული წარმომადგენლობის პრინციპს ნებისმიერ და ყველა არჩეულ, აგრეთვე საჯარო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში.
- (4) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, განახორციელოს ყველა ქმედითი ზომა ზემოაღნიშნული უფლებებისა და პრინციპების დასაცავად, მათ შორის:
- ნაახალისოს ქალები, რომ დარეგისტრირდნენ ამომრჩევლებად, გამოიყენონ ინდივიდუალური ხმის მიცემის უფლება და საკუთარი კანდიდატურა დააყენონ საჯარო თანამდებობის დასაკავებლად;
  - ნაახალისოს პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები, დაადგინონ და განახორციელონ ქალთა და კაცთა დაბალანსებული წარმომადგენლობის პრინციპი;
  - ნაახალისოს პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები, რომ გადადგან ყველა კანონიერი ნაბიჯი და მიზანშეწონილობის შემთხვევაში დააწესონ კვოტები, რათა გაიზარდოს კანდიდატად შერჩეული და, შესაბამისად, შემდგომში არჩეული ქალების რაოდენობა;

- განახორციელოს საკუთარი პროცედურებისა და ქცევის სტანდარტების თვითრეგულირება იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოტენციური კანდიდატები და არჩეული წარმომადგენლები არ დაბრკოლდნენ არასასურველი ქცევისა და ენის გამოყენების, ან შევიწროების გამო;
  - მიიღოს ზომები, რომელიც პირადი, სამუშაო და საზოგადოებრივი ცხოვრების შეთავსების საშუალებას მისცემს არჩეულ წარმომადგენლებს; მაგალითად, შესაბამისი სამუშაო განრიგისა და მეთოდების უზრუნველყოფით, რაც დამოკიდებულ პირებზე ზრუნვისა და იმავდროულად, სრულფასოვნად მონაწილეობის შესაძლებლობას იძლევა.
- (5) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, საკუთარი გადანაცვებილების მიმღებ და საკონსულტაციო ორგანოებში, ასევე ნებისმიერ გარე დანიშნულ ორგანოში, ხელი შეუწყოს დაბალანსებული წარმომადგენლობის პრინციპის გამოყენებას. თუმცა, ქალთა და კაცთა დაბალანსებული წარმომადგენლობის მიღწევის პროცესში, ხელმომწერმა უნდა უზრუნველყოს, რომ გენდერული ბალანსი არ აუარესებდეს უმცირესობაში მყოფი სქესის წარმომადგენლების მდგომარეობას.
- (6) ხელმომწერი ასევე იღებს ვალდებულებას, რომ არც ერთი საჯარო თუ პოლიტიკური თანამდებობა, არჩევითი იქნება ის თუ დანიშნვით, არც თეორიულად და არც პრაქტიკაში არ შეიზღუდება რომელიმე სქესისთვის, რაც შეიძლება სტერეოტიპული დამოკიდებულებიდან გამომდინარეობდეს.

მუხლი 3 – პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ მოქალაქეთა უფლება - განახორციელონ საზოგადოებრივი საქმიანობა - ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპია და რომ ქალებსა და კაცებს უფლება აქვთ, თანაბრად მიიღონ მონაწილეობა თავიანთი რეგიონის, მუნიციპალიტეტის, ადგილობრივი თემის მმართველობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
- (2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ქალებისა და კაცების თანაბარი ჩართულობა პრაქტიკაში, საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობისთვის არსებული სამოქალაქო ჩართულობის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით, მაგ.: მრჩეველთა კომიტეტები, სათემო საბჭოები, ელექტრონული მონაწილეობა ან მონაწილეობითი დაგეგმვა.
- იმ შემთხვევებში, თუ ჩართულობის არსებული საშუალებები თანასწორობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას არ იძლევა, ხელმომწერი ვალდებულებას იღებს შეიმუშაოს და ცადოს ახალი მეთოდები.
- (3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს მოსახლეობის ყველა ჯგუფის ქალებისა და კაცების აქტიურ ჩართულობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი ხელი შეუწყოს უმცირესობების ჯგუფების მონაწილეობას, რომლებიც სხვაგვარად შეიძლება ვერ ჩაერთონ პროცესებში.

მუხლი 4 - თანასწორობის საჯარო ვალდებულება

- (1) ხელმომწერი, როგორც დემოკრატიული ლიდერი და საკუთარი თემისა და ტერიტორიის წარმომადგენელი, იღებს საჯარო ვალდებულებას ადგილობრივ ცხოვრებაში ქალებისა და კაცების თანასწორობის პრინციპის დაცვაზე, რაც გულისხმობს:
- ხელმომწერის მიერ განცხადების გაკეთებას წინამდებარე ქარტიის ხელმომწერის შესახებ, მას შემდეგ, რაც დოკუმენტის ტექსტი განხილული და დამტკიცებული იქნება უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ;
  - პირობას, რომ შეასრულებს წინამდებარე ქარტიით ნაკისრ ვალდებულებებს და რეგულარულად მოახდენს საჯარო ანგარიშგებას თანასწორობის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მიღწეული პროგრესის შესახებ, რისთვისაც, საჭიროებისამებრ, გამოიყენებს ამ მიზნით შემუშავებულ ქარტიის ინდიკატორებს;
  - პირობას, რომ ხელმომწერი და მისი არჩეული წევრები შეასრულებენ და დაიცავენ გენდერულ თანასწორობასთან მიმართებაში არსებულ ქცევის საუკეთესო სტანდარტებს;
- (2) ხელმომწერი გამოიყენებს საკუთარ დემოკრატიულ მანდატს სხვა პოლიტიკური და საჯარო ინსტიტუტების, ასევე, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წახალისებისთვის, რათა მათ განახორციელონ ქმედებები ქალთა და კაცთა თანასწორობის პრაქტიკაში უზრუნველყოფისთვის.

მუხლი 5 - პარტნიორებთან მუშაობა თანასწორობის ხელშეწყობისთვის

- (1) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, ცხოვრების ყველა ასპექტში, ქალსა და კაცს შორის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით ითანამშრომლოს თავის ყველა პარტნიორთან საჯარო და კერძო სექტორიდან, განსაკუთრებით სოციალურ პარტნიორებთან, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ქალთა ორგანიზაციებთან და სხვადასხვა დონის სახელისუფლებო უწყებებთან.
- (2) თანასწორობის სამოქმედო გეგმების შემუშავებისას და მისი ან თანასწორობასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისას, ხელმომწერი კონსულტაციებს გაივლის პარტნიორ ორგანიზაციებთან, მათ შორის - სოციალურ პარტნიორებთან.



მუხლი 6 – სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლა

- (1) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, ებრძოდეს და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, არ დაუშვას ისეთი ლექსიკის გამოყენება ან ისეთი წარმოდგენის შექმნა, რომელიც რომელი სქესის უპირატესობას ან არასრულფასოვნების აზრს ატარებს, ან გენდერულ სტერეოტიპებს ეფუძნება.
- (2) ამ მიზნით, ხელმომწერმა მისი საჯარო და შიდა კომუნიკაციები სრულად უნდა შეუსაბამოს აღნიშნულ ვალდებულებას და ხელი უნდა შეუწყოს გენდერული თანასწორობის დადებითი მხარის და მაგალითების წარმოჩენას.
- (3) ხელმომწერმა, ტრენინგების და სხვა საშუალებების გამოყენებით, საკუთარი თანამშრომლების ჩართულობით, უნდა გამოავლინოს და აღმოფხვრას გაუცნობიერებელი მიკერძოებულობა, სტერეოტიპული დამოკიდებულებები და ქცევა, აგრეთვე ამ მიზნით, უნდა დაადგინოს ქცევის სტანდარტები.
- (4) ხელმომწერმა უნდა განახორციელოს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები და კამპანიები გენდერული ნორმებისა და სტერეოტიპების უარყოფითი გავლენის შესახებ, რაც ხელს უშლის ქალთა და კაცთა შორის თანასწორობის მიღწევას.

მუხლი 7 – კარგი ადმინისტრირება და კონსულტაცია

- (1) ხელმომწერი აღიარებს ქალებისა და კაცების უფლებას, რომ მათი საქმეების განხილვა მოხდეს თანაბრად, მიუკერძოებლად, სამართლიანად და გონივრულ ვადაში, რაც აგრეთვე მოიცავს:
  - უფლებას, მოუსმინონ მათ იქამდე, ვიდრე მიღებული იქნება მათთვის არახელსაყრელი ინდივიდუალური გადაწყვეტილება;
  - ხელისუფლების მოვალეობას, დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილება;
  - უფლებას მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, რასაც მათზე ექნება გავლენა.
- (2) ხელმომწერი აღიარებს, რომ საკუთარი უფლებამოსილების სრული სპექტრის განხორციელებისას, მისი პოლიტიკისა და გადაწყვეტილების მიღების ხარისხი გაუმჯობესდება, თუ იგი შემუშავების ეტაპზე კონსულტაციას გაივლის ყველასთან, ვისზეც ამ გადაწყვეტილებას გავლენის მოხდენა შეუძლია. მნიშვნელოვანია, რომ ქალებსა და კაცებს, პრაქტიკაში, თანაბრად მიეცეთ რელევანტურ ინფორმაციაზე წვდომისა და შესაბამისი რეაგირების შესაძლებლობები.
- (3) აქედან გამომდინარე, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, საჭიროებისამებრ, გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

- უზრუნველყოს, რომ ინფორმაციის მიწოდების ნებისმიერი სისტემა ითვალისწინებდეს ქალებისა და კაცების განსხვავებული ჯგუფების საჭიროებებს, მათ შორის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომის განსხვავებულ ხარისხს;
- უზრუნველყოს, მათ შორის, სამართლებრივი ქმედებების განხორციელებით, რომ საკონსულტაციო პროცესში თანაბრად მონაწილეობა შეეძლოს მათ, ვისი მოსაზრებებიც შესაძლოა, სხვაგვარად, არ იყოს გათვალისწინებული;
- საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს ცალკეული საკონსულტაციო აქტივობები ქალებისთვის.

## თანასწორობის ზოგადი ჩარჩო

### მუხლი 8 – ზოგადი ვალდებულება

- (1) ხელმომწერი, თავისი კომპეტენციის ყველა სფეროში, აღიარებს, პატივს სცემს და ხელს შეუწყობს ქალთა და კაცთა თანასწორობის შესაბამის უფლებებისა და პრინციპების განხორციელებას, მთელი მრავალფეროვნების გათვალისწინებით; ასევე, იბრძოლებს გენდერთან დაკავშირებული არახელსაყრელი მდგომარეობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ.
- (2) ამ ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებები მხოლოდ იმდენად ეხება ხელმომწერს, რამდენადაც ეს ან მასთან დაკავშირებული ასპექტები, არ ცდება მისი სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებს..

მუხლი 9 – გენდერული შეფასება

(1) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, თავისი კომპეტენციის თითოეულ სფეროში განახორციელოს გენდერული შეფასება, როგორც ეს ამ მუხლშია მითითებული.

(2) ამ მიზნით, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, პრიორიტეტების, რესურსებისა და ვადების შესაბამისად, შეადგინოს პროგრამა გენდერული შეფასებების განსახორციელებლად, რომელიც შეტანილი ან გათვალისწინებული იქნება თანასწორობის სამოქმედო გეგმაში.

(3) შესაბამისი გენდერული შეფასება უნდა მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

- არსებული პოლიტიკის, პროცედურების, პრაქტიკის, მოდელებისა და მათი გამოყენების მოცულობების განალიზებას იმის შესაფასებლად, ვლინდება თუ არა რაიმე სახის დისკრიმინაცია ან უსამართლობა, ეფუძნება თუ არა ის გენდერულ სტერეოტიპებს და არის თუ არა ადეკვატურად გათვალისწინებული ქალებისა და კაცების სპეციფიკური საჭიროებები, მათი მრავალფეროვნების გათვალისწინებით;

- ზემოხსენებული მიზნებისთვის ფინანსური და სხვა სახის რესურსების გადანაწილების გადახედვას;
- პრიორიტეტებისა და, საჭიროების შემთხვევაში, მიზნების განსაზღვრას, რათა გადაიჭრას ამ შეფასებებით გამოვლენილი საკითხები და შესამჩნევად გაუმჯობესდეს მომსახურების მიწოდება;
- ახალი თუ შესწორებული პოლიტიკის, პროცედურებისა და რესურსების განაწილების ცვლილებების წარდგენამდე, ადრეულ ეტაპზე, ქალებსა და კაცებზე ყველა მნიშვნელოვანი წინადადების პოტენციური გავლენის შეფასებას. საბოლოო გადანაწილების მიღებაც ამ შეფასების გათვალისწინებით უნდა მოხდეს;
- იმ ადამიანების საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებას, ვინც დისკრიმინაციის ან არახელსაყრელი მდგომარეობის მრავალჯერად და ინტერსექციურ ფორმებს განიცდიან.

მუხლი 10 – დისკრიმინაციისა და არახელსაყრელი მდგომარეობის მრავალმხრივი და ინტერსექციური ფორმები

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ აკრძალულია დისკრიმინაცია ნებისმიერი ისეთი ნიშნით როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობა, გენეტიკური მახასიათებლები, ენა, რელიგია ან რწმენა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, ეროვნული უმცირესობისადმი მიკუთვნებულობა, ქონება, დაბადების ადგილი, შეზღუდული შესაძლებლობა, ასაკი ან სექსუალური ორიენტაცია.
- (2) ხელმომწერი, ასევე, აღიარებს, რომ ამ აკრძალვის მიუხედავად, ბევრი ქალი და კაცი აწყდება დისკრიმინაციისა და არახელსაყრელი მდგომარეობის მრავალმხრივ და ინტერსექციურ ფორმებს, მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკური კუთხით, რაც პირდაპირ ახდენს გავლენას ქარტიაში მოყვანილი სხვა უფლებების განხორციელების შესაძლებლობაზე.
- (3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელოს ყველა გონივრული ქმედება, დისკრიმინაციის ან არახელსაყრელი მდგომარეობის მრავალმხრივი და ინტერსექციური ფორმების შედეგებთან საბრძოლველად, კერძოდ:

- თანასწორობის სამოქმედო გეგმასა და გენდერულ შეფასებებში გათვალისწინებული იყოს დისკრიმინაციის ან არახელსაყრელი მდგომარეობის მრავალმხრივი და ინტერსექციური ფორმების საკითხები;
- უზრუნველყოს, რომ ქარტიის სხვა მუხლებთან დაკავშირებით ზომების მიღებისას ან ქმედებების განხორციელებისას, გათვალისწინებული იქნას დისკრიმინაციის ან არახელსაყრელი მდგომარეობის მრავალმხრივი და ინტერსექციური ფორმებიდან გამომდინარე საკითხები;
- განახორციელოს საჯარო საინფორმაციო კამპანიები სტერეოტიპებთან საბრძოლველად და იმ ქალებისა და კაცების მიმართ თანაბარი მოპყრობის ხელშეწყობის მიზნით, რომლებიც შეიძლება, დაექვემდებარონ დისკრიმინაციის ან არახელსაყრელი მდგომარეობის მრავალმხრივ და ინტერსექციურ ფორმებს;
- დაადგინოს სპეციალური ზომები მიგრანტი ქალებისა და კაცების განსაკუთრებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

## დამსაქმებლის როლი

### მუხლი 11 – გენდერული თანასწორობა სამუშაო ადგილზე

- (1) ხელმომწერი, როგორც დამსაქმებელი, აღიარებს ქალთა და კაცთა თანასწორობის უფლებას დასაქმების ყველა ასპექტთან, მათ შორის შრომის ორგანიზებასა და სამუშაო პირობებთან მიმართებაში.
- (2) ხელმომწერი აღიარებს პროფესიული, სოციალური და პირადი ცხოვრების შეთავსების უფლებას და უფლებას ღირსეულ და უსაფრთხო სამუშაოზე .
- (3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, ზემოაღნიშნული უფლებების მხარდასაჭერად განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება, მათ შორის პოზიტიური ქმედება, რომელიც შედის მისი კანონიერი უფლებამოსილების ფარგლებში.
- (4) მე-3 პუნქტში მითითებული ღონისძიებები მოიცავს:
  - (ა) უთანასწორობის გონივრულ ვადაში აღმოფხვრის მიზნით, ორგანიზაციაში არსებული დასაქმების პოლიტიკისა და პროცედურის გადახედვას და თანასწორობის სამოქმედო გეგმის დასაქმების ნაწილის შემუშავებასა და განხორციელებას, კერძოდ:
    - თანაბარ ანაზღაურებას - თანაბარი ანაზღაურება თანაბარი ღირებულების შრომისათვის;
    - დებულებების გადახედვას ხელფასების, ანაზღაურების, სახელფასო უწყისების სისტემებთან და პენსიებთან დაკავშირებით;
    - ზომებს, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი და გამჭვირვალე დანიშნულებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს;

- ზომებს, რომელიც უზრუნველყოფს ქალებისა და კაცების დაბალანსებულ წარმომადგენლობას ყველა დონეზე; მათ შორის ისეთს, რომელიც გამოასწორებს ხელმძღვანელ პოზიციებზე ნებისმიერი სახის უთანასწორობას;
  - ზომებს, რომელიც ცდილობს დაძლიოს სქესის მიხედვით ნებისმიერი სამუშაოს დაყოფის საკითხი და წახალისებს თანამშრომლების დასაქმებას არატრადიციულ სამსახურებში ;
  - ზომებს, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურში მიღების სამართლიან და მიუკერძოებელ პროცესს;
  - ზომებს, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო, ჯანსაღ და უსაფრთხო სამუშაო პირობებს.
- (ბ) თანამშრომლებთან, მათ შორის პროფესიულ კავშირებთან, კონსულტაციის ისეთ პროცედურებს, რაც ნებისმიერ საკონსულტაციო ან მოლაპარაკებების პროცესში ქალებისა და კაცების დაბალანსებულ მონაწილეობას უზრუნველყოფს.
  - (გ) სამუშაო ადგილზე, მათ შორის ონლაინ რეჟიმში დისტანციურად მუშაობის დროს, ნებისმიერი სახის ძალადობის, სექსუალური შევიწროების ან სექსუალური ძალადობის მიმართ მკაცრი წინააღმდეგობის განწევას, და ასეთი ქცევის მკაფიოდ დაგმობას; ასევე, ცნობიერების ამაღლებას, დაზარალებულთა მხარდაჭერას, გამჭვირვალე პოლიტიკის დანერგვასა და განხორციელებას.
  - (დ) ისეთი სამუშაო ძალის დაქირავებას, რომელიც ორგანიზაციის ყველა დონეზე ასახავს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მრავალფეროვნებას.

- (ე) ეპროფესიული, სოციალური და პირადი ცხოვრების შეთავსების მხარდაჭერას:
- ისეთი პოლიტიკის შემოღებით, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო საათების კორექტირებით და შესაბამისი ღონისძიებების გატარებით, საშუალებას მისცემს თანამშრომლებს იზრუნონ მათზე დამოკიდებულ პირებზე;
  - კაცების წახალისებით, ისარგებლონ შვებულების, ასევე, დეკრეტული შვებულების უფლებით, რათა ჰქონდეთ მათზე დამოკიდებულ პირებზე ზრუნვის შესაძლებლობა.

## საჯარო შესყიდვები და ხელშეკრულებები

### მუხლი 12 – საჯარო შესყიდვები და ხელშეკრულებები

- (1) ხელმომწერი აღიარებს საკუთარ პასუხისმგებლობას, რომ საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული ამოცანებისა და ვალდებულებების შესრულებისას, მათ შორის პროდუქციის მიწოდების, მომსახურების განწვევის ან სამუშაოების შესრულების შესახებ ხელშეკრულებებში, სტრატეგიულად შეუწყოს ხელი ქალთა და კაცთა თანასწორობას.
- (2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ამ პასუხისმგებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევებში, როდესაც საზოგადოებისთვის აუცილებელი მომსახურების განწვევა, რაზეც ხელმომწერი რჩება კანონმდებლობით პასუხისმგებელი, ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა სხვა იურიდიულ პირს. ასეთ შემთხვევებში, ხელმომწერმა უნდა უზრუნველყოს, რომ იურიდიულმა პირმა (განურჩევლად საკუთრების ტიპისა), რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა, იგივე პასუხისმგებლობა აიღოს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ან ხელშესაწყობად, რაც დაეკისრებოდა ხელმომწერს მომსახურების უშუალოდ განწვევის შემთხვევაში.
- (3) ხელმომწერი, ასევე, იღებს ვალდებულებას, სადაც ეს მიზანშეწონილად ჩაითვლება, გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

- (ა) ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხელშეკრულების დადებამდე, მან უნდა განიხილოს შესაბამისი გენდერული ასპექტები და თანასწორობის ხელშეწყობის სამართლებრივი შესაძლებლობები;
- (ბ) უზრუნველყოს, რომ გენდერული თანასწორობის მიზნები გათვალისწინებულია პერსპექტიული ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში;
- (გ) უზრუნველყოს, რომ პერსპექტიული ხელშეკრულების ზოგადი პირობები, ასევე, ითვალისწინებდეს და პასუხობდეს ამ მიზნებს;
- (დ) გამოიყენოს ევროკავშირის საჯარო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობით<sup>11</sup> მინიჭებული უფლებამოსილება და სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, ჩამოაყალიბოს სამუშაოს შესრულების პირობები;
- (ე) უზრუნველყოს, რომ თანამშრომლები ან მრჩევლები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საჯარო შესყიდვების განხორციელებაზე და ხელშეკრულებების გაფორმებაზე, მიიღებენ ყველა შესაბამის ინფორმაციას, მათ შორის ჩაუტარდება ტრენინგი გენდერულად მგრძობიარე სახელმწიფო შესყიდვებისა (GRPP) და მათ სამუშაოში გენდერული თანასწორობის ასპექტებზე;
- (ვ) უზრუნველყოს, რომ ძირითადი ხელშეკრულების პირობები მოიცავდეს მოთხოვნას - ყველა ქვე-კონტრაქტორმა შეასრულოს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის არსებული ვალდებულებები.

11 ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/24/EU სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და 2004/18/EC დირექტივის გაუქმების შესახებ (EEA-სთან დაკავშირებით).

## მომსახურების მიწოდების როლი

### მუხლი 13 – განათლება და უწყვეტი სწავლა

- (1) ხელმომწერი აღიარებს განათლების უფლებას ყველასთვის, ასევე უფლებას, ყველას მიუწვდებოდეს ხელი პროფესიულ განათლებასა და უწყვეტ სწავლაზე. ხელმომწერი აღიარებს ფორმალური და არაფორმალური განათლების არსებით მნიშვნელობას ცხოვრების ყველა ეტაპზე თანასწორი შესაძლებლობების, ცხოვრებისა და დასაქმებისთვის აუცილებელი უნარების უზრუნველყოფის პროცესში, ასევე, პროფესიული განვითარებისთვის ახალი შესაძლებლობების აღმოჩენაში.
- (2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს განათლებაზე, პროფესიულ და უწყვეტ სწავლაზე ყველა ასაკის ქალებისა და კაცების თანაბარ ხელმისაწვდომობას, მათი მრავალფეროვნების გათვალისწინებით.
- (3) ხელმომწერი აღიარებს, განათლების ყველა დონეზე, ქალებისა და კაცების როლებთან დაკავშირებული გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის აუცილებლობას. ამის მისაღწევად, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, საჭიროებისამებრ და თავისი უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობების ფარგლებში, განახორციელოს ან ხელი შეუწყოს შემდეგ ღონისძიებებს:

- საგანმანათლებლო მასალების, სასკოლო კურიკულუმებისა და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების გადახედვა სტერეოტიპული დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად;
  - კონკრეტული ქმედებების განხორციელება არატრადიციული კარიერული არჩევანის წახალისების მიზნით;
  - საზოგადოებრივ და სამოქალაქო განათლების კურსებში ისეთი სპეციფიკური კომპონენტების ჩართვა, რომელიც ხაზს უსვამს დემოკრატიულ პროცესებში ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობის მნიშვნელობას.
- (4) ხელმომწერი აღიარებს, რომ სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ავტორიტეტული პირები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის გავლენიან მოდელებს წარმოადგენენ. შესაბამისად, ვალდებულებას იღებს, ხელი შეუწყოს ქალებისა და კაცების დაბალანსებულ წარმომადგენლობას სკოლის მენეჯმენტისა და მმართველობის ყველა დონეზე.



მუხლი 14 - ჯანდაცვა

- (1) ხელმომწერი აღიარებს ყველა ადამიანის უფლებას, ისარგებლოს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მაღალი სტანდარტით და ადასტურებს, რომ ქალებისა და კაცებისთვის, მთელი მათი მრავალფეროვნებით, კარგი ხარისხის ჯანდაცვის, სამედიცინო მკურნალობისა და პრევენციული ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, აუცილებელია ამ უფლების რეალიზებისთვის.
- (2) ხელმომწერი აღიარებს, რომ სამედიცინო და ჯანდაცვის სერვისებში, ქალებისა და კაცებისთვის ჯანდაცვის მაღალი სტანდარტებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისას, გათვალისწინებული უნდა იყოს მათი განსხვავებული საჭიროებები; ასევე, აღიარებს, რომ ეს განსხვავება არა მხოლოდ ბიოლოგიური განსხვავებებიდან გამომდინარეობს, არამედ, ასევე, ცხოვრებასა და სამუშაო პირობებში არსებული უთანასწორობიდან, გენდერული სტერეოტიპებიდან და მიკერძოებიდან.
- (3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, მისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში, განახორციელოს ყველა გონივრული ქმედება, რათა ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს უმაღლესი დონის ჯანდაცვა მისი ყველა მოქალაქისთვის. ამ მიზნით, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, საჭიროებისამებრ განახორციელოს ან ხელი შეუწყოს შემდეგი ზომების გატარებას:

- გენდერულად მგრძობიარე მიდგომის გათვალისწინება ჯანდაცვისა და სამედიცინო სერვისების დაგეგმვის, რესურსების მობილიზებისა და მომსახურების მიწოდების დროს;
- ჯანდაცვის ხელშემწყობი ზომების წახალისება, მათ შორის ჯანსაღი კვების და ვარჯიშის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ისე რომ მხედველობაში იქნეს მიღებული ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებები და დამოკიდებულებები;
- იმის უზრუნველყოფა, რომ ჯანდაცვის სფეროს თანამშრომლები აცნობიერებდნენ გენდერის გავლენას სამედიცინო და ჯანდაცვის სერვისებზე; ასევე, აცნობიერებდნენ ქალებისა და კაცების განსხვავებულ საჭიროებებს;
- ქალებისა და კაცებისთვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული და სამეცნიერო ჯანდაცვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 15 – სოციალური ზრუნვა და მომსახურება

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ყველას აქვს უფლება მიიღოს ძირითადი სოციალური მომსახურება და, საჭიროების შემთხვევაში, სოციალური დახმარება.
- (2) ხელმომწერი აღიარებს ქალებისა და კაცების განსხვავებულ საჭიროებებს, რომელიც შეიძლება, განპირობებული იყოს მათი განსხვავებული სოციალური და ეკონომიკური პირობებით ან სხვა ფაქტორებით, ასევე, გამოცდილებით, რომელიც დისკრიმინაციისა და არახელსაყრელი მდგომარეობის ინტერსექციურ ფორმებს მოიცავს. შესაბამისად, ქალებისა და კაცების მიერ სოციალურ დახმარებასა და სოციალურ მომსახურებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის ხელმომწერი ყველა გონივრულ ზომას განახორციელებს, მათ შორის:
  - გენდერული და ინტერსექციური მიდგომების გათვალისწინება დაგეგმვაში (მონაცემთა შეგროვების ჩათვლით), რესურსების მობილიზებასა და მიწოდებაში, სოციალური ზრუნვისა და მომსახურების განვითარების პროცესში;
  - იმის უზრუნველყოფა, რომ სოციალური მზრუნველობის და სოციალური მომსახურების მიწოდებაში ჩართული პირები აღიარებდნენ და აცნობიერებდნენ, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს გენდერმა სერვისებზე, ზრუნვის მიღებისას ქალებისა და კაცების განსხვავებული გამოცდილების გათვალისწინებით.
  -

მუხლი 16 – ბავშვზე ზრუნვა

- (1) ხელმომწერი აღიარებს ფიზიკურად და ფინანსურად ხელმისაწვდომ ბავშვზე ზრუნვის მნიშვნელობას ქალთა და კაცთა შორის ტემპარითი თანასწორობის მიღწევაში, რაც მათ საშუალებას აძლევს, ერთმანეთს შეუთავსონ სამსახური, საჯარო და პირადი ცხოვრება. ხელმომწერი სრულად აღიარებს იმ წვლილსაც, რაც ბავშვზე ზრუნვას შეაქვს ადგილობრივი თემისა და მთელი საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, მთლიანად საზოგადოებაში.
- (2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, ერთ-ერთ პრიორიტეტად აქციოს პირდაპირ, ან სხვა პროვაიდერების მეშვეობით, ბავშვზე ზრუნვის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა. ის, ასევე, იღებს ვალდებულებას, წახალისოს სხვების მიერ, მათ შორის ადგილობრივი დამსაქმებლების მიერ ბავშვზე ზრუნვის უზრუნველყოფა.
- (3) ხელმომწერი დამატებით აღიარებს, რომ ბავშვების აღზრდა მოითხოვს პასუხისმგებლობის გაზიარებას კაცებსა და ქალებს შორის და მთლიანად საზოგადოებისთვის. ის, ასევე, იღებს ვალდებულებას, აღმოფხვრას გენდერული სტერეოტიპები, რომლის მიხედვითაც ბავშვზე ზრუნვა, ძირითადად, ქალების საქმედ და მოვალეობად მიიჩნევა.

მუხლი 17 – სხვა დამოკიდებულ ადამიანებზე ზრუნვა

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალებს და კაცებს, ბავშვების გარდა, შესაძლოა, ჰქონდეთ სხვა მათზე დამოკიდებულ პირებზე ზრუნვის ვალდებულება და რომ ასეთმა ვალდებულებებმა სავარაუდოა გავლენა იქონიოს მათ შესაძლებლობაზე - სრულფასოვნად ჩაერთონ ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.
- (2) ხელმომწერი იმასაც აღიარებს, რომ ზრუნვის ეს პასუხისმგებლობა არაპროპორციულად ეკისრებათ ქალებს და, შესაბამისად, ბარიერს ქმნის გენდერული თანასწორობისთვის.
- (3) ხელმომწერი ვალდებულებას იღებს, ამ უთანასწორობის საპასუხოდ განახორციელოს შემდეგი ქმედებები:
  - ერთ-ერთ პრიორიტეტად აქციოს დამოკიდებული პირებისთვის ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის ზრუნვის უზრუნველყოფა პირდაპირ ან სხვა მიმწოდებლების მეშვეობით;
  - იმ ადამიანების მხარდაჭერა და შესაძლებლობების ხელშეწყობა, ვინც სოციალურ იზოლაციას განიცდის მათზე დავისრებული ზრუნვის პასუხისმგებლობის გამო;
  - კამპანიების ჩატარება იმ სტერეოტიპების დასაძლევად, რომელიც დამოკიდებულ პირებზე ზრუნვის პასუხისმგებლობას, პირველ რიგში, ქალებს აკისრებს.

მუხლი 18 – სოციალური ინკლუზია

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ყველას აქვს უფლება, იყოს დაცული სიღარიბისა და სოციალური გარიყულობისგან და, რომ კაცებთან შედარებით ქალები უფრო მეტად განიცდიან სოციალურ გარიყულობას, რადგან მათ არ აქვთ თანაბარი წვდომა რესურსებზე, პროდუქტებზე, სერვისებსა და შესაძლებლობებზე.
- (2) აქედან გამომდინარე, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, გაატაროს კოორდინირებული ზომები, რომელიც მოიცავს სერვისებისა და აქტივობების სრულ სპექტრს, მათ შორის, სოციალურ პარტნიორებთან მუშაობას, რათა:
  - ხელი შეუწყოს დასაქმების, საცხოვრებლის, ტრენინგების, განათლების, კულტურის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT), სოციალური და სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას ყველასთვის, ვინც ცხოვრობს სოციალური გარიყულობის ან სიღარიბის პირობებში, როგორც სოფლად, ასევე, ქალაქად ან ასეთი რისკის წინაშე დგას;
  - აღიაროს სოციალურად გარიყული ქალების განსაკუთრებული საჭიროებები და მდგომარეობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ყველა ინტერსექციურ მახასიათებელს;
  - ხელი შეუწყოს მიგრანტი ქალებისა და კაცების ინტეგრაციას, მათი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით.

მუხლი 19 - საცხოვრებელი

- (1) ხელმომწერი აღიარებს უფლებას საცხოვრებელზე და ადასტურებს, რომ კარგი ხარისხის საცხოვრებელზე წვდომა ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი საჭიროებაა, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პიროვნებისა და ოჯახების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის.
- (2) ხელმომწერი დამატებით აღიარებს, რომ საცხოვრებელთან დაკავშირებით ქალებსა და კაცებს ხშირად აქვთ სპეციფიკური და განსხვავებული საჭიროებები, რომელიც სრულად გასათვალისწინებელია, მათ შორის ისიც, რომ:
  - (ა) საშუალოდ, ქალებისთვის შემოსავლისა და რესურსების მოპოვება უფრო რთულია, ვიდრე კაცებისთვის, ამიტომ ისინი საჭიროებენ საცხოვრებელს, რომელიც მათ შესაძლებლობებს უფრო მეტად შეესაბამება;
  - (ბ) მართხელა მშობლის სტატუსით, ძირითადად ქალები გვხვდებიან, რის გამოც ისინი უფრო მეტად საჭიროებენ სოციალური საცხოვრებლის ან ბინით უზრუნველყოფის სერვისებზე ხელმისაწვდომობას;
  - (გ) მონყვლადი კაცები ხშირად არაპროპორციულად არიან წარმოდგენილი უსახლკარო პირთა შორის.

- (3) შესაბამისად, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, საჭიროებისამებრ:
  - (ა) უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს ყველასთვის ადეკვატური ზომისა და სტანდარტის (ენერგო-ეფექტურობის ჩათვლით), ცხოვრებისთვის შესაფერის გარემოში ყველა აუცილებელი სერვისით აღჭურვილი ხარისხიანი საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა;
  - (ბ) განახორციელოს ქმედებები უსახლკარობის პრევენციისთვის, კერძოდ, დახმარება გაუწიოს უსახლკარო პირებს საჭიროების და მონყვლადობის კრიტერიუმების მიხედვით და დისკრიმინაციის გარეშე;
  - (გ) თავისი უფლებამოსილებების შესაბამისად, საცხოვრებლის ფასი გახადოს ხელმისაწვდომი მათთვის, ვისაც შესაბამისი რესურსი არ გააჩნია;
- (4) ხელმომწერი, ასევე, იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს ქალებისა და კაცების თანაბარ უფლებას, იყვნენ სახლის მოიჯარე, მფლობელი ან სხვა ფორმით მესაკუთრე და ამისთვის, საკუთარი უფლებამოსილების ან გავლენის ფარგლებში, უზრუნველყოს ქალებისთვის თანაბარი წვდომა იპოთეკაზე და ფინანსური დახმარებისა და კრედიტის სხვა ფორმებზე საცხოვრებლის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 20 – კულტურა, სპორტი და დასვენება

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ყველას აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ცხოვრებაში და ისიამოვნონ ხელოვნებით.
- (2) ხელმომწერი დამატებით აღიარებს სპორტის მნიშვნელობას საზოგადოების ცხოვრებასა და ჯანმრთელობის უფლების უზრუნველყოფაში, როგორც ეს მე-14 მუხლშია აღნიშნული; ასევე, აღიარებს ქალებისა და კაცების განსხვავებული ჯგუფების უფლებას, ჰქონდეთ თანაბარი წვდომა კულტურულ, რეკრეაციულ და სპორტულ აქტივობებზე და ობიექტებზე.
- (3) ხელმომწერი აღიარებს ქალებისა და კაცების განსხვავებულ გამოცდილებას და ინტერესებს კულტურასთან, სპორტთან და დასვენებასთან მიმართებაში, რაც შეიძლება, განპირობებული იყოს გენდერული სტერეოტიპებით, დამოკიდებულებებით, ნორმებითა და ქმედებებით და, შესაბამისად, ვალდებულებას იღებს, განახორციელოს ან მხარი დაუჭიროს საპასუხო ზომების მიღებას, მათ შორის:

- ქალებისა და კაცებისთვის, ბიჭებისა და გოგონებისთვის თანაბარი წვდომის უზრუნველყოფას სპორტულ, რეკრეაციულ და კულტურულ ობიექტებზე და აქტივობებზე;
- ქალებისა და კაცების, ბიჭებისა და გოგონების ნახალისებას, თანაბარი მონაწილეობა მიიღონ ყველა სახის სპორტულ და კულტურულ აქტივობებში, მათ შორის „ქალისტვის“ ან „კაცისტვის“ არატრადიციულ სახეობებში;
- ხელოვანების, კულტურის და სპორტული ასოციაციების ნახალისებას, ხელი შეუწყონ კულტურულ და სპორტულ აქტივობებს, რომელიც მიზნად ისახავს ქალებისა და კაცების გენდერული სტერეოტიპების დაძლევას;
- საჯარო ბიბლიოთეკების ნახალისებას წიგნების შერჩევისას, კატალოგებსა და სხვა მასალებში, ასევე - საინფორმაციო აქტივობებში დაგმოს გენდერული სტერეოტიპებს.

მუხლი 21 – უსაფრთხოება და დაცვა

- (1) ხელმომწერი აღიარებს თითოეული ქალისა და კაცის პიროვნული უსაფრთხოებისა და გადაადგილების თავისუფლების უფლებას და აცნობიერებს, რომ შეუძლებელია კერძო თუ საჯარო სფეროში ამ უფლებებით თავისუფლად ან თანასწორად სარგებლობა, თუკი ქალები ან კაცები არიან დაუცველები და არ არიან უსაფრთხოდ, ან ასე ფიქრობენ.
- (2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალები და კაცები, ნაწილობრივ, განსხვავებული ვალდებულებების ან ცხოვრების წესის გამო, ხშირად აწყდებიან უსაფრთხოებასთან და დაცვასთან დაკავშირებულ განსხვავებულ პრობლემებს, რომლის გადაჭრაც საჭიროა.
- (3) ამიტომ ხელმომწერი იღებს შემდეგ ვალდებულებებს:
  - (ა) გაითვალისწინოს გენდერული პერსპექტივა ინციდენტების მოცულობისა და ფორმის შესახებ სტატისტიკის გაანალიზების დროს (მათ შორის, ინდივიდის წინააღმდეგ სერიოზული დანაშაულების ჩათვლით), რომელიც გავლენას ახდენს ქალებისა და კაცების უსაფრთხოებაზე. აღნიშნული ასევე მნიშვნელოვანია დანაშაულის შიშის ან სხვა მიზეზით გამონეული დაუცველობის ხარისხისა და ბუნების განსაზღვრისთვის.

- (ბ) შეიმუშაოს და განახორციელოს სტრატეგიები, პოლიტიკის დოკუმენტები და აქტივობები, რომელიც აძლიერებს ქალებისა და კაცების რეალურ უსაფრთხოებას, როგორცაა: ადგილობრივი გარემოს ან მოწყობის გაუმჯობესება (მაგ. ტრანსპორტის გაჩერებები, ავტოსადგომები, გარე განათება), ან პოლიციის და მასთან დაკავშირებული სერვისების დახვეწა, რითაც უნდა გაუმჯობესდეს უსაფრთხოებისა და დაცულობის აღქმები.

მუხლი 22 – გენდერული ნიშნით ძალადობა

- (ა) ხელმომწერი აღიარებს, რომ გენდერული ნიშნით ძალადობა არაპროპორციულ გავლენას ახდენს ქალებსა და გოგონებზე, არის ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევა, ადამიანის ღირსების, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.
- (ბ) ხელმომწერი აღიარებს, რომ გენდერული ნიშნით ძალადობა იმის მაჩვენებელია, რომ მოძალადის აზრით ერთი სქესი უპირატესია მეორეზე, რასაც საფუძვლად უდევს სოციალურ კონსტრუქტებში ღრმად ფესვგადგმული, ძალის უთანასწორობაზე დაფუძნებული ურთიერთობების კონტექსტი.
- (გ) შესაბამისად, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, მისი კომპეტენციების ფარგლებში, ჩამოაყალიბოს და გააძლიეროს გენდერული ნიშნით ძალადობის აღმკვეთი პოლიტიკა და ქმედებები, კერძოდ:

- მსხვერპლის დამხმარე სპეციალური სტრუქტურების უზრუნველყოფა ან მხარდაჭერა;
- რეგიონში არსებული დახმარების სერვისების შესახებ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ადგილზე გავრცელებულ ყველა ენაზე;
- პროფესიონალი პერსონალის მომზადება ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირებასა და მხარდაჭერაში;
- ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა ისეთ უწყებებს შორის, როგორცაა პოლიცია, ჯანდაცვისა და საცხოვრისით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი უწყებები;
- პოტენციურ და რეალურ მსხვერპლსა და/ან მოძალადეებზე მიმართული ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობა.

მუხლი 23 – ადამიანებით ვაჭრობა - ტრეფიკინგი

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ადამიანებით ვაჭრობის დანაშაული არაპროპორციულ ზეგავლენას ახდენს ქალებსა და გოგოებზე, წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევას და ადამიანის ღირსების, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მთლიანობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს.
- (2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას შექმნას და გააძლიეროს პოლიტიკა და ქმედებები ადამიანებით ვაჭრობის აღკვეთის მიზნით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს:
- საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები;
  - მსხვერპლთა იდენტიფიცირებასა და მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პროფესიონალი პერსონალის სასწავლო პროგრამები;
  - მოთხოვნის შემცირებაზე ორიენტირებული ზომები;
  - მსხვერპლთა დახმარების ეფექტიანი ზომები, მათ შორის: სამედიცინო მკურნალობა, სათანადო და უსაფრთხო საცხოვრებელი და საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მხარდაჭერა.

**დაგეგმვა და მდგრადი განვითარება**

მუხლი 24 – მდგრადი განვითარება

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ მისი ტერიტორიის სამომავლო სტრატეგიების დაგეგმვა და შემუშავება სრულად უნდა შეესაბამებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპებს, როგორცაა: ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და კულტურული ასპექტების დაბალანსებული ინტეგრაცია და, კერძოდ, ქალთა და კაცთა თანასწორობის ხელშეწყობისა და მიღწევის აუცილებლობა.
- (2) აქედან გამომდინარე, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, მისი ტერიტორიის მდგრადი განვითარების დაგეგმვისა და სტრატეგიის შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს ქალთა და კაცთა თანასწორობის პრინციპი, როგორც ფუნდამენტური ასპექტი.



მუხლი 25 – ურბანული და ადგილობრივი დაგეგმარება

- (1) ხელმომწერი აღიარებს სივრცითი, სატრანსპორტო, ეკონომიკური განვითარებისა და მინათსარგებლობის პოლიტიკისა და დაგეგმარების მნიშვნელობას სათანადო პირობების შექმნისთვის, რომელშიც ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის სრულფასოვნად მიღწევაა შესაძლებელი.
- (2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, ამ პოლიტიკისა და გეგმების შემუშავების, მიღებისა და განხორციელების პროცესში უზრუნველყოს:
  - ადგილობრივი ცხოვრების ყველა ასპექტში თანასწორობის მნიშვნელოვნად ხელშეწყობის გათვალისწინება;
  - დასაქმების, სერვისებისა და კულტურულ ცხოვრებაზე წვდომის, განათლების და ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის მხრივ ქალებისა და კაცების მრავალფეროვანი, სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება, რომელიც დადგენილია შესაბამისი და უახლესი ადგილობრივი მონაცემებით, მათ შორის ხელმომწერის მიერ ჩატარებული საკუთარი გენდერული შეფასებების მიხედვით;
  - მაღალი ხარისხის გეგმარებითი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ქალებისა და კაცების სხვადასხვა ჯგუფის სპეციფიკურ საჭიროებებს ითვალისწინებს.

მუხლი 26 – მობილობა და ტრანსპორტი

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ მობილობა, მასზე წვდომა, საზოგადოებრივ ტრანსპორტში უსაფრთხოება და დაცულობა ფუნდამენტური წინაპირობაა, რომელიც საშუალებას აძლევს ქალებსა და კაცებს, განახორციელონ საკუთარი უფლებები, ამოცანები და საქმიანობა, მათ შორის ისარგებლონ სამუშაოზე, განათლებაზე, კულტურასა და სხვა აუცილებელ სერვისებზე ხელმისაწვდომობით. იგი, ასევე, აღიარებს, რომ მუნიციპალიტეტის ან რეგიონის მდგრადობა და წარმატება დიდწილად არის დამოკიდებული ეფექტური, მდგრადი და მაღალი ხარისხის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სერვისის განვითარებაზე.
- (2) ხელმომწერი ასევე აღიარებს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ქალები და კაცები განსხვავდებიან მობილობისა და ტრანსპორტის გამოყენებისა და საჭიროებების მიხედვით, რასაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. ეს ფაქტორებია: შემოსავალი, ზრუნვაზე პასუხისმგებლობა ან სამუშაო საათები. ქალებს უფრო ხშირად უწევთ სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა მიზნით მგზავრობა და ისინი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომხმარებელთა უმრავლესობას წარმოადგენენ.
- (3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას:
  - (ა) გაითვალისწინოს მობილობის შესაბამისი საჭიროებები და ქალებისა და კაცების მიერ ტრანსპორტის გამოყენების მოდელები, მათ შორის როგორც ქალაქში, ისე სოფლად მცხოვრები თემებისთვის;

- (ბ) უზრუნველყოს მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც ხელს უწყობს ქალებისა და კაცების კონკრეტული და საერთო საჭიროებების დაკმაყოფილებას და შესაბამისად, ადგილობრივ დონეზე არსებითი გენდერული თანასწორობის მიღწევას;
- (4) ხელმომწერი დამატებით იღებს ვალდებულებას, მხარი დაუჭიროს მის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის პროგრესულ გაუმჯობესებას, მათ შორის სხვადასხვა სახის ტრანსპორტის დაკავშირებას, რათა დააკმაყოფილოს ქალებისა და კაცების კონკრეტული და საერთო საჭიროებები საიმედო, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით, რაც, ამავდროულად, ტერიტორიის მდგრად განვითარებას უწყობს ხელს.

მუხლი 27 – ეკონომიკური განვითარება

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ დაბალანსებული და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა წარმატებული მუნიციპალიტეტის ან რეგიონის მნიშვნელოვანი კომპონენტია და მისი საქმიანობა და სერვისები ამ სფეროში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გენდერული თანასწორობის მიღწევაში.
- (2) ხელმომწერი აღიარებს ქალთა დასაქმების მაჩვენებლისა და ხარისხის დადგენის აუცილებლობას. ასევე, აღიარებს, რომ ქალებში განსაკუთრებით მაღალია ხანგრძლივი უმუშევრობით ან აუნაზღაურებელი შრომით გამოწვეული სიღარიბის რისკი.
- (3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, ეკონომიკური განვითარების სფეროში საკუთარი კომპეტენციის, საქმიანობისა და მომსახურების ფარგლებში, სრულად გაითვალისწინოს ქალებისა და კაცების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები, განიხილოს მათ შორის თანასწორობის ხელშეწყობის შესაძლებლობები და ამ მიზნით განახორციელოს შესაბამისი ქმედებები. ასეთი ქმედებები, შეიძლება, იყოს:
  - მენარმე ქალთა დახმარება;
  - საწარმოებისთვის განეული ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერით გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
  - სტაჟიორ ქალთა წახალისება, შეიძინონ უნარები და კვალიფიკაცია მიიღონ ისეთი სამუშაოსთვის, რომელიც, ტრადიციულად, „კაცის საქმედ“ არის მიჩნეული და პირიქით;
  - დამსაქმებლების წახალისება, მიიღონ ქალი პრაქტიკანტები და სტაჟიორები და არ განსაჯონ მათი უნარები, კვალიფიკაცია და პოზიცია გენდერული სტერეოტიპების პრიზმიდან, როდესაც საქმე რომელიმე სქესისთვის არატრადიციულად არის მიჩნეული.

### მუხლი 28 – გარემო

- (1) ხელმომწერი აღიარებს საკუთარ პასუხისმგებლობას, ნარჩენებთან, ხმაურთან, ჰაერის ხარისხთან, ბიომრავალფეროვნებასთან და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან დაკავშირებული პოლიტიკის განხორციელებით, იმუშაოს მაღალი დონის გარემოსდაცვის მიწვევისთვის და მის ტერიტორიაზე გარემოს ხარისხის გაუმჯობესებისთვის, ; ასევე, აღიარებს ქალისა და კაცის თანაბარ უფლებას, ისარგებლონ გარემოსთან დაკავშირებული მომსახურებითა და პოლიტიკით.
- (2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალებისა და კაცების ცხოვრების სტილი ბევრგან განსხვავდება და, შესაბამისად, ქალები და კაცები შეიძლება განსხვავებულად იყენებდნენ ადგილობრივ სერვისებსა და საჯარო თუ ღია სივრცეებს, რის გამოც ისინი განსხვავებული პრობლემების წინაშე დგებიან.
- (3) აქედან გამომდინარე, ხელმომწერი ვალდებულია იღებს, შეიმუშაოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის დოკუმენტები და სერვისები, სადაც სრულად და თანაბრად იქნება გათვალისწინებული ქალებისა და კაცების სპეციფიკური საჭიროებები და ცხოვრების წესი, ასევე, თაობებს შორის სოლიდარობის პრინციპი.

### **მარეგულირებლის როლი**

#### მუხლი 29 – ადგილობრივი ხელისუფლება, როგორც მარეგულირებელი

- (1) ხელმომწერი, მარეგულირებლის კომპეტენციის ფარგლებში, თავისი ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებისას აცნობიერებს ეფექტური რეგულირებისა და მომხმარებელთა დაცვის მნიშვნელობას ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის; აცნობიერებს აგრეთვე, რომ შესაბამისმა რეგულირებადმა საქმიანობამ შეიძლება, განსხვავებული ზეგავლენა იქონიოს ქალებსა და კაცებზე.
- (2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, თავისი მარეგულირებელი ამოცანების შესრულებისას, გაითვალისწინოს ქალებისა და კაცების სპეციფიკური საჭიროებები, ინტერესები და გარემოებები.

## პარტნიორობა და საერთაშორისო თანამშრომლობა

### მუხლი 30 - გენდერული თანასწორობა დეცენტრალიზებულ თანამშრომლობაში

- (1) ხელმომწერი აღიარებს მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის, პარტნიორობისა და დეცენტრალიზებული თანამშრომლობის მნიშვნელობას, რასაც ევროპული და საერთაშორისო ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებები ახორციელებენ მდგრადი განვითარებისთვის, ეროვნულ საზღვრებს მიღმა მოქალაქეების ერთმანეთთან დაახლოების, ცოდნის გაზიარებისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობისთვის.
- (2) პარტნიორობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, ხელმომწერი ვალდებულია იღებდეს:
  - ამ საქმიანობაში, თანასწორობის პრინციპის დაცვით, ჩართოს სხვადასხვა გამოცდილების მქონე ქალები და კაცები;
  - გამოიყენოს მეგობრული ურთიერთობები, ევროპული და საერთაშორისო პარტნიორობა, როგორც ქალებისა და კაცების თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით გამოცდილების გაცვლისა და ურთიერთსწავლების პლატფორმა;
  - ჩართოს გენდერული თანასწორობის ასპექტი დეცენტრალიზებული თანამშრომლობის ქმედებებში.



## ახალი მუხლები

### წინასიტყვაობა

შეიცვალა ჩვენი ურთიერთობის, მართვის, მუშაობის და მოქმედების სტილი. ჩვენ სულ უფრო მეტად ვაცნობიერებთ, თუ რამდენად მონყვლადია ჩვენი პლანეტა, ვანყდებით უამრავ გამონვევას, რომელიც კარგად უნდა იქნას გააზრებული ხელისუფლების ყველა დონეზე, ყველა ინსტიტუციისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ. ეს ის გამონვევებია, რომლის დაძლევა შეუძლებელია გენდერული ასპექტებისა და ზემოქმედების გათვალისწინების გარეშე.

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ევროპული ქარტია მრავალწლიანი გამოცდილების, ცოდნისა და მოლაპარაკებების შედეგია. CEMR-ი და მისი წევრი ასოციაციები ამ დოკუმენტში ახალი მუხლების დამატებით ცდილობენ შევსებული სახელმძღვანელო მითითებები შეთავაზონ ევროპის მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებს, რომლებიც ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ევროპულ ქარტიას იყენებენ მათი მოსახლეობის მეტი თანასწორობის მისაღწევად.

ბოლოდროინდელი კრიზისები, როგორცაა COVID-19-ის პანდემია და ომი უკრაინაში, მიუთითებს მაღალეფექტური და გენდერულად მგრძობიარე სამოქალაქო მზადყოფნისა და კრიზისების მართვის აუცილებლობაზე. სულ უფრო მეტად ვხედავთ, რომ მიღწევები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და გაცემულელებაში გენდერულად ნეიტრალური არ არის. მნიშვნელოვანია, ყურადღებით მოვევიდეთ, თუ როგორ არის ინტეგრირებული ქალისა და კაცის იდენტობა, საჭიროებები და პრიორიტეტები ახალ ინსტრუმენტებსა და პროცესებში, რათა გაძლიერდეს გენდერული თანასწორობა, აღმოიფხვრას მიკერძოებული დამოკიდებულება და უთანასწორობა, რომელიც ჩვენს საზოგადოებებში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრდა.

თანასწორობაზე დაფუძნებული საზოგადოების მისაღებად, აუცილებელია, ადგილობრივმა და რეგიონულმა

ხელისუფლებებმა გაიაზრონ მათი ყოველდღიური საქმიანობის გენდერული ასპექტები და მიიღონ ზომები როგორც პოლიტიკის დოკუმენტებსა და პროცედურებში, ისე საკუთარ ორგანიზაციებში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, ასევე, დისკრიმინაციული ნორმებისა და პრაქტიკის წინააღმდეგ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ამ პროცესში მონაწილეობდნენ ბიჭები და კაცები, როგორც ცვლილების განმახორციელებლები და გენდერული თანასწორობის საქმიანობის ბენეფიციარები.

ქარტიის დებულებები და მისი ახალი მუხლები მოიცავს ყველა იმ ადამიანს, რომელზეც ვრცელდება ტრადიციული გენდერული ნორმების შედეგები და რომელიც ჩვენს საზოგადოებასა და აღქმებს აყალიბებს. საზოგადოების წევრები იდენტობების მრავალფეროვნებითა და კომპლექსურობით გამოირჩევიან. ქარტია წარმოადგენს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების დეკლარაციას, რომელშიც გაცხადებულია მათი სურვილი, იმუშაონ საერთო მიზნისთვის – მიაღწიონ გენდერულ თანასწორობას ჩვენს საზოგადოებებში, რაც ასე მნიშვნელოვანია ყველა მოქალაქისთვის.

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის ევროპული ქარტიის გავრცობილი დებულებები ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭომ და მისმა წევრმა ასოციაციებმა მოამზადეს, CEMR-ის გენდერული თანასწორობის ექსპერტთა ჯგუფისა და CEMR-ის თანასწორობის მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრებთან თანამშრომლობით. ოფიციალურად იგი 2022 წლის 6 დეკემბერს მიიღო CEMR-ის პოლიტიკის კომიტეტმა და, შესაბამისად, ეს თარიღი მიიჩნევა მისი ძალაში შესვლის თარიღად.

ქარტიის მოქმედი ხელმომწერები მოწვეულები არიან დაიცვან და მოახდინონ ახალი მუხლების რატიფიცირება და ეს მუხლები გაითვალისწინონ თავიანთ საქმიანობაში თანასწორობის ევროპული ქარტიის აღსრულებისას. 2023

წლიდან ხელმომწერები იღებენ ვალდებულებებს, როგორც ქარტიის თავდაპირველი ტექსტის, ისე 2022 წელს მიღებული გავრცობილი დებულებების აღსრულებაზე.

მდგომარეობა ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებში განსხვავდება მათი ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, მათი კომპეტენციები და პასუხისმგებლობები კი ფართო და მრავალფეროვანია. აქედან გამომდინარე, ხელმომწერებს – თავიანთი შესაძლებლობებისა და ხელმისაწვდომი რესურსების შესაბამისად – შეუძლიათ, თავად განსაზღვრონ სამოქმედო გეგმებში მათთვის პრიორიტეტული სფეროები.

## ახალი მუხლები

ახალი მუხლები იმ თემებსა და გამონწვევებზე კონცენტრირებული, რომელიც ან არ არსებობდა 15 წლის წინ, ან მნიშვნელოვნად განვითარდა და დღეს დიდ გავლენას ახდენს გენდერული თანასწორობის მიღწევაზე.

ქართვაში შეტანილი ახალი მუხლები მოიცავს ცხრა ძირითად თემას, რომელიც ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებებმა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისას უნდა გაითვალისწინონ, კერძოდ:

1. უპირველეს ყოვლისა, ძალიან მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების ისეთი ურთიერთდამხმარე ასპექტების გამოყენება, როგორც არის: სოციალური თანასწორობა, ეკონომიკური ზრდა და გარემოსდაცვა.
2. სწავლის, კავშირების დამყარებისა და აქტივობებში მონაწილეობის ახალი შესაძლებლობების მიუხედავად, ონლაინ სამყაროს თანახმად განსაკუთრებული გამოწვევები გოგოებისა და ქალებისათვის — განსაკუთრებით, შევიწროებისა და კიბერ-ძალადობის თვალსაზრისით.
3. არჩევით თანამდებობაზე ქალი წარმომადგენლების, საზოგადო მოღვაწეებისა და პერსონალის მიმართ ძალადობრივი თავდასხმა და შეურაცხყოფა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს დემოკრატიული მმართველობისთვის.
4. ინტერსექციურობა არის კონცეფცია და მიდგომა, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს გენდერული ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმ გოგოებისა და ქალების მიმართ, რომლებიც დისკრიმინაციის მრავალ და ინტერსექციურ ფორმებს განიცდიან.
5. თანამედროვე ციფრულმა ტექნოლოგიებმა სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებს უფრო მოქნილი სამუშაო პირობები შეუქმნა. ბევრ ადამიანს სახლიდან შეუძლია მუშაობა, რაც გენდერული თანასწორობისთვის როგორც შესაძლებლობებს, ისე რისკებსაც მოიცავს.
6. საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელია ყველა გოგოსა და ქალის ციფრული ინკლუზია, რომელიც ყველასთვის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. თუმცა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და გაციფრულებაში არსებული მიღწევები გენდერულად ნეიტრალური არ არის. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ახალი ინსტრუმენტებისა და პროცესების შემუშავებას და გამოყენებას, რომელიც აძლიერებს, და არა ხელს უშლის, ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობას.
7. გოგოებსა და ქალებს თავისუფლად და თანაბრად ცხოვრება მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, როცა მათი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებები დაცულია.
8. კლიმატის ცვლილება არის საფრთხე, რომელიც სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ გამონწვევებს ამძაფრებს და არაპროპორციულ გავლენას ახდენს გოგოებზე და ქალებზე.
9. დაუშვებელია გენდერული თანასწორობის და გოგოებისა და ქალების აქტიური ჩართულობის უგულებელყოფა კრიზისის მომენტებში, პირიქით, იგი უნდა განიხილებოდეს როგორც წარმატებული სამოქალაქო მზადყოფნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეფექტური კომპონენტი.

მუხლი 31 - მდგრადი განვითარება მდგრადი მომავლისათვის

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ გენდერული თანასწორობა და ყველა მასთან დაკავშირებული კომპონენტი, როგორცაა: სიღარიბისა და შიმშილის დასრულება, კეთილდღეობისა და ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობა, მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებების მშენებლობა, პლანეტისა და მისი ბუნებრივი რესურსების დაცვა, მდგრადი განვითარების მამოძრავებელი ძალაა.
- (2) ხელმომწერი ასევე აღიარებს, რომ 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგისა და 2030 წლის შემდგომი მდგრადობის დღის წესრიგის სურვილები გლობალურია, ხოლო მათი განხორციელება - ლოკალური. მდგრადი განვითარების 17 მიზანი უშუალოდ უკავშირდება ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების პასუხისმგებლობებს და გენდერული თანასწორობა არის კომპონენტი, რომელიც მათ წარმატებულ განხორციელებას განაპირობებს. კერძოდ, ხელმომწერი ითვალისწინებს, რომ ქართვის ვალდებულებები შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მე-5 მიზანთან.

მუხლი 32 - კიბერ ძალადობა

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ გენდერული ძალადობა მოიცავს კიბერ ძალადობის ყველა ფორმას. კიბერ ძალადობის აქტები შეიძლება, შეიცავდეს სხვადასხვა სახის შევიწროებას, შეტყაობას, კონფიდენციალურობის ხელყოფას, სექსუალურ ძალადობას და სექსუალურ ექსპლუატაციას, ასევე - მიკერძოებასთან დაკავშირებულ დანაშაულებს ან სოციალური ჯგუფების, თემების ან ინდივიდების მიმართ სიძულვილის დანაშაულს. ხელმომწერი აღიარებს, რომ ასეთი ქმედებების გავლენა არაპროპორციულია ქალებსა და გოგონებზე.
- (2) ამ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხელმომწერი, თავისი მოვალეობების შესაბამისად, იღებს შემდეგ ვალდებულებებს:
- როგორც დამსაქმებელმა, მიიღოს ზომები სამუშაო ადგილზე შეურაცხყოფის, შევიწროებისა და ძალადობის ყველა ფორმის აკრძალვის მიზნით, მათ შორის მესამე მხარის მხრიდან ძალადობისა და კიბერ ძალადობის ჩათვლით.
  - პრევენციისა და რეაგირების მიზნით ყურადღებით მოეკიდოს ნებისმიერი სახის შევიწროების და ძალადობის, გამოვლინებას მის მიერ მიწოდებულ მომსახურებებში, განსაკუთრებით საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
  - იზრუნოს ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლებაზე, ასევე, კონსულტაციები გაუწიოს მშობლებს, კიბერ-ძალადობისა და მისი გენდერული ასპექტების შესახებ და თუ როგორ შეიძლება მისი პრევენცია და შეჩერება.
  - ჩართოს ბიჭები და კაცები, როგორც ცვლილების განმახორციელებლები და გენდერული თანასწორობის ბენეფიციარები. მოახდინოს რადიკალიზაციის პრევენცია ონლაინ ჯგუფებში, რომლებიც აღვივებენ ქალთა მიმართ სიძულვილს.



მუხლი 33 – ძალადობა არჩეულ თანამდებობაზე მყოფი ქალებისა და პერსონალის მიმართ

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ონლაინ და ფიზიკური საფრთხეები და ძალადობა კანდიდატი ქალების მიმართ, რომლებმაც არჩევნებში გაიმარჯვეს ან სხვა საჯარო თანამდებობებზე მსახურობენ, ხშირად გენდერული ნიშნით ხორციელდება და შეიძლება, ხელს უშლიდეს ქალთა სოციალურ და პოლიტიკურ აქტივობას, რაც ძირს უთხრის დემოკრატიის პრინციპს.
- (2) ხელმომწერი აღიარებს პოლიტიკაში ჩართვისთვის უსაფრთხო პირობების არსებობის აუცილებლობას. ამ მიზნით, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, თავისი პასუხისმგებლობის შესაბამისად, განავითაროს პროცესები და მხარდამჭერი სტრუქტურები, რათა კონსულტაციები გაუწიოს და დაეხმაროს არჩეულ ქალებსა და თანამშრომლებს სიძულვილის ენასთან ბრძოლაში.
- (3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, ადკვეთოს, შეამციროს და შეამსუბუქოს მესამე მხარის მიერ ძალადობა და შევიწროება, რომელიც შეიძლება, მიმართული იყოს მათი არჩეული წარმომადგენლებისა და თანამშრომლების მიმართ, თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, რაც განსაკუთრებით აისახება ქალებზე.

მუხლი 34 – ინტერსექციურობა და მრავალფეროვნება

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ადამიანების იდენტობა და ცხოვრებისეული გამოცდილება არ არის მხოლოდ დამატებითი ელემენტი, არამედ კომპლექსური და ინტერსექციური კომპონენტია.
- (2) ხელმომწერი აღიარებს დისკრიმინაციის მრავალმხრივი და ინტერსექციური ფორმების მიმართ დაუცველი გოგოებისა და ქალების ხმებისა და გამოცდილების გათვალისწინების აუცილებლობას მათთვის განკუთვნილი პოლიტიკის დოკუმენტებისა და პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგის პროცესში. ამ მიზნით, ხელმომწერს შეუძლია, მიიღოს შემდეგი ზომები:
  - გაითვალისწინოს ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული გოგოებისა და ქალების სპეციფიკური საჭიროებები და ხელი შეუწყოს მათ ინტეგრაციას და ჩართვას ყველა გონივრული ღონისძიების, მათ შორის, მისი კანონიერი კომპეტენციის ფარგლებში, პოზიტიური ქმედებების გატარებით;
  - ხელი შეუწყოს გენდერული სტერეოტიპების დაძლევის საგანმანათლებლო აქტივობებში და წაახალისოს როლური მოდელების ფართო სპექტრი, მათ შორის საჯარო ბიბლიოთეკების წიგნების კატალოგებში და სხვა მასალებში, ასევე, საინფორმაციო აქტივობებში.

მუხლი 35 – სამუშაო ადგილის მოქნილობა

- (1) ხელმომწერი აღიარებს მოქნილ სამუშაო პირობებს, მათ შორის დისტანციურ მუშაობას, რომელსაც შეუძლია როგორც კაცებს, ასევე ქალებს შესთავაზოს პროფესიული, სოციალური და პირადი ცხოვრების შეთავსება. ხელმომწერი, ასევე, აღიარებს იმ რისკებსა და ნაკლოვანებებს, რაც შეიძლება, მუშაობის ახალმა სტილმა მოუტანოს ქალებს, ეს არის: გაუარესებული ფსიქიკური ჯანმრთელობა, შემოსავლის ან დასაქმების შემცირება, მზრუნველობის გაზრდილი ტვირთი და გაზრდილი აუნაზღაურებელი საოჯახო შრომა, რომელიც ხშირად არაპროპორციულად ნაწილდება ქალებზე.
- (2) ხელმომწერი ვალდებულებას იღებს, ხელი შეუწყოს სამუშაო ადგილის მოქნილობას მასთან დაკავშირებულ საქმიანობასა და მომსახურებასთან მიმართებით, რათა ხელი შეუწყოს პროფესიული, სოციალური და პირადი ცხოვრების შეთავსებას როგორც კაცებისთვის, ასევე ქალებისთვის.
- (3) ხელმომწერი, როგორც დამსაქმებელი, იღებს ვალდებულებას, ყურადღება გაამახვილოს დისტანციური მუშაობის რისკებზე, რომელიც ზრდის ქალების აუნაზღაურებელ და მზრუნველობით შრომას.

მუხლი 36 – გაციფრულება და ციფრული ინკლუზია

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ახალმა ციფრულმა საკომუნიკაციო ინსტრუმენტებმა მოქალაქეების, ხელისუფლების, კერძო კომპანიების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა ორგანიზაციების კომუნიკაციის, ინფორმაციის გავრცელებისა და შეგროვების გზები შეცვალა. ციფრული ტექნოლოგია დიდ შესაძლებლობებს გვთავაზობს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის.
- (2) ხელმომწერი აღიარებს ციფრული სწავლების მნიშვნელობას განათლების სფეროში გოგოებს, ბიჭებს, ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის განვითარებისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც სკოლაში ჩამორჩება. იგი დამატებით აღიარებს, რომ ქალებზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ონლაინ და ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომასა და გამოყენებაზე, ტექნოლოგიურ განვითარებასა და მმართველობაში არსებულმა ციფრულმა გენდერულმა დაყოფამ. ამიტომ იგი ვალდებულებას იღებს, მხარი დაუჭიროს ქალებისა და გოგოების წვდომას ციფრულ სასწავლო საშუალებებზე, გენდერულად-მგრძობიარე ციფრული სწავლებისა და სწავლის ხელშეწყობით, ასევე, ქალებისა და გოგოებისთვის STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) განათლებისა და ციფრული უნარების განვითარების მხარდაჭერით.

მუხლი 37 - სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლება

(1) ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებები გადამწყვეტ როლს ასრულებენ თავიანთი მოქალაქეების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში. ამ კუთხით, ხელმომწერი საჭიროებისამებრ და თავისი კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობების ფარგლებში, ვალდებულია იღებს, განახორციელოს ან ხელი შეუწყოს შემდეგ ღონისძიებებს:

(ა) ისეთი პროგრამების ხელშეწყობა და წახალისება, რომელიც მიმართულია ბიჭებზე, გოგონებზე, კაცებსა და ქალებზე და ყოვლისმომცველ სექსუალურ განათლებას გვთავაზობს, მათ შორის ისეთ თემებზე, როგორცაა სოციალური ნორმები, არსებული სტიგმა და დისკრიმინაცია. ასეთი პროგრამების მიზანია აღნიშნული საკითხების გააზრება და ცნობიერების ამაღლება, რათა უკეთესად იყოს დაცული გოგონებისა და ქალების ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ღირსება;

(ბ) მოწვევლად ჯგუფებს მიკუთვნებული ქალებისა და გოგონების საჭიროებების გათვალისწინება და მათთვის ჯანდაცვაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც მათი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების განუყოფელი ნაწილია.

(გ) ხელმომწერი აღიარებს, რომ ჯანდაცვის სფეროში თანასწორობა მოიცავს რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობის უფლებას და ასევე აღიარებს მისი დარღვევის მიზეზებსა და შედეგებს.

(2) ხელმომწერი აღიარებს ქალთა უფლებას, აკონტროლონ და თავისუფლად მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარ სექსუალურ საკითხებთან, მათ შორის ოჯახის დაგეგმვის, კონტრაცეფციის, უსაფრთხო და კანონიერი აბორტის და პრენატალურ და დედათა მოვლის სერვისებთან დაკავშირებით.

მუხლი 38 – კლიმატის ცვლილება და უფლება ჯანსაღ გარემოზე

- (1) გლობალური დათბობა, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა და დაბინძურება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ძირითადი უფლებებით, მათ შორის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ოჯახის უფლებით სარგებლობას. ხელმომწერი აღიარებს ჯანსაღი გარემოთი სარგებლობის უფლებას, როგორც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ქალებისა და გოგოების საჭიროებებს.
- (2) ხელმომწერი აღიარებს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების მნიშვნელოვან როლს, ადამიანის უფლებების პრინციპებისა და გენდერული საკითხების გათვალისწინებით, გარემოსა და კლიმატის ცვლილების გამომწვევებზე რეაგირებაში, განსაკუთრებით საქალაქო დასახლებებში. ამიტომ ხელმომწერი იღებს შემდეგი სახის ვალდებულებებს:
- ხელი შეუწყოს ადგილობრივი პოლიტიკის დოკუმენტებში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ინტეგრირების მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლებას და განვითარების მდგრადი მოდელების შემუშავებას, რომელშიც გენდერულად პასუხისმგებლობიანი გადაწყვეტილებებია გათვალისწინებული.
  - გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში გაითვალისწინოს და ჩართოს ქალთა პერსპექტივები და გამოცდილება, რაც მიზნად ისახავს პოლიტიკის შემუშავების ყველა ეტაპსა და პროცესში გენდერულად დაბალანსებული მონაწილეობის უზრუნველყოფას.

მუხლი 39 – კრიზისის მართვა - სამოქალაქო მზაობა

- (1) ხელმომწერი აღიარებს, რომ კრიზისული სიტუაციები და მათი გამომწვევი მიზეზები მრავალფეროვანი და ურთიერთდაკავშირებულია და ხშირად განსხვავებულად ზემოქმედებს ქალებსა და კაცებზე.
- (2) ხელმომწერი აღიარებს ძირითად როლს, რომელიც შეუძლიათ, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებებმა შეასრულონ კრიზისის დროს საზოგადოების პრევენციებისა და ქალებისა და კაცების, გოგოებისა და ბიჭების ყოვლისმომცველი საჭიროებების განსაზღვრაში.
- (3) ხელმომწერი აცნობიერებს კრიზისის დროს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ex ante- (აღრეული) სამოქალაქო მზადყოფნის დაგეგმვისას ქალთა ადეკვატური წარმომადგენლობის აუცილებლობას, გენდერულად პასუხისმგებლობიანი ღონისძიებებისა და აღდგენის სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების კუთხით, ამავდროულად, მომავალი კრიზისებისა და შოკების მიმართ მედეგობის უზრუნველსაყოფად.
- (4) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, როგორც მზადყოფნის დაგეგმვისას, ასევე, კრიზისების მართვაში:
- გააძლიეროს ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში, საჯარო დაწესებულებებში და ხელმძღვანელ პოზიციებზე, რათა უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციებში მზადყოფნისა და კრიზისების მართვაში გენდერულად პასუხისმგებლობიანი საკითხების გათვალისწინება;
  - მხარი დაუჭიროს სათემო სამოქალაქო ორგანიზაციებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კრიზისების გენდერული ასპექტების გაგებაში და სოციალური დაცვისა და სერვისების მიწოდების მონიტორინგსა და მხარდაჭერაში;

- უზრუნველყოს სქესისა და ასაკის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების, სტატისტიკისა და დასკვნების შეგროვება, რომლებიც ასაბუთებს განსხვავებულ გენდერულ ზემოქმედებას, რათა ეფექტურად დაუპირისპირდეს საგანგებო სიტუაციების გენდერთან დაკავშირებულ გავლენებს და გააუმჯობესოს კრიზისის მართვა.
- (5) ხელმომწერი ვალდებულია, მიიღოს სპეციალური ზომები შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციებში გენდერული ძალადობისგან, განსაკუთრებით გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებისგან ქალებისა და გოგონების დასაცავად.



## მადლიერების ნიშნად

წინამდებარე ქარტია 2022 წელს განახლდა სილვია ბარალდის ხელმძღვანელობით, რომელიც ადგილობრივ ცხოვრებაში ქალებისა და კაცების თანასწორობის (CEMR) მუდმივმოქმედი კომიტეტის თავმჯდომარეა (2021-2022 წწ). განახლების პროცესში წვლილი შეიტანეს ასევე:

- CEMR-ის გენდერული თანასწორობის ექსპერტა ჯგუფის წევრებმა;
- ადგილობრივ ცხოვრებაში ქალებისა და კაცების თანასწორობის CEMR-ის მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრებმა;
- CEMR-ის სამდივნომ: ჯეიმი ჯასტის, ორიანე ლოკეს, მარლენ სიმეონის, ბეატრის ტომასის, პიერ ვანდერ აუვერას შემადგენლობით;
- რედაქტორი: პენი იმ-ბარბიერი
- გრაფიკული დიზაინი: Paf! Design
- თარგმანი: Eurideas, PoliLingua

2006 წლის ქარტიის თავდაპირველი ტექსტი სანდრა ჩეკიარინიმ და ჯერემი სმიტმა დაწერეს, CEMR-ის წევრი ასოციაციებისა და პარტნიორების მხარდაჭერითა და დახმარებით, ესენია:

- ბულგარეთის რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების ეროვნული ასოციაცია (NAMRB)
- კვიპროსის მუნიციპალიტეტების კავშირი (UCM)
- ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქებისა და თემების გაერთიანება (SMO CR)
- ფინეთის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა ასოციაცია (AFLRA)

- CEMR-ის საფრანგეთის განყოფილება (AFCCRE)
- CEMR-ის გერმანიის განყოფილება (RGRE)
- საბერძნეთის მუნიციპალიტეტებისა და თემების ცენტრალური გაერთიანება - (KEDKE)
- უნგრეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია (TÖOSZ)
- CEMR-ის იტალიის განყოფილება (AICCRE)
- ლუქსემბურგის ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ასოციაცია (SYVICOL)
- პოლონეთის ქალაქების ასოციაცია (ZMP)
- ესპანეთის მუნიციპალიტეტებისა და პროვინციების ფედერაცია (FEMP)
- ბასკეთის მუნიციპალიტეტების ასოციაცია (EUDEL)
- შვედეთის ადგილობრივი ხელისუფლებისა და რეგიონების ასოციაცია (SALAR)
- ქალაქი ვენა (ავსტრია)
- ქალაქი სენ ჟან დე ლა რუელი (საფრანგეთი)
- ქალაქი მაინის ფრანკფურტი (გერმანია)
- ქალაქი კარტახენა (ესპანეთი)
- ქალაქი ვალენსია (ესპანეთი)
- დროისა და მობილობის სახლი, ბელფორ-მონბელიარის მუნიციპალიტეტი (საფრანგეთი)
- ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ევროპა - ხმელთაშუა ზღვის პარტნიორობის მუდმივი კომიტეტი (COPPEM),

### **CEMR-ის შესახებ**

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოში (CEMR) ყველაზე მეტი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებაა წარმოდგენილი ევროპაში მოქმედ ნებისმიერ სხვა ორგანიზაციასთან შედარებით. მისი წევრები მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების 60-ზე მეტ ეროვნულ ასოციაციას წარმოადგენენ ევროპის 40 ქვეყნიდან. ეს ასოციაციები კი, ჯამში, დაახლოებით 100 000 ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას წარმოადგენენ.

CEMR-ს ორი მიზანი აქვს: ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების სახელით გავლენა მოახდინოს ევროპულ კანონმდებლობაზე და შექმნას მის წევრ ასოციაციებსა და მათ არჩეულ ოფიციალურ პირებსა და ექსპერტებს შორის გაცვლის პლატფორმა. საერთაშორისო ასპარეზზე, CEMR არის ადგილობრივი ხელისუფლების მსოფლიო ორგანიზაციის, გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი მმართველობის (UCLG) ევროპული განყოფილება.

[www.cemr.eu](http://www.cemr.eu)

### **ონლაინ პლატფორმის შესახებ**

CEMR-მა 2012 წელს ევროპის თანასწორობის ქარტიის ონლაინ პლატფორმა შექმნა, რათა მხარი დაუჭიროს ქარტიის ხელმომწერებს ქარტიის შესრულებასა და გენდერული თანასწორობის განვითარებაში. ონლაინ პლატფორმა ადგილობრივი გენდერული თანასწორობის პოლიტიკის საუკეთესო მაგალითებსა და პრაქტიკას ასახავს და ხელს უწყობს ხელმომწერთა შორის გამოცდილების გაცვლას. ის, ასევე, მოიცავს მითითებებს თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ და აქვს მონაცემთა ბაზა („Atlas“), რომელშიც საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმომწერების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების ბმულებია მოცემული.

პლატფორმის მუშაობას კოორდინაციას უწევს CEMR-ის სამდივნო, CEMR-ის თანასწორობის მუდმივ-მოქმედ კომიტეტთან და ექსპერტთა ჯგუფთან ერთად, რომელიც ეროვნული კოორდინატორებისგან/CEMR-ის წევრი ასოციაციების გენდერული საკონტაქტო პირებისგან შედგება.

[www.charter-equality.eu](http://www.charter-equality.eu)





# ევროკული ქარტია

## ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ

ქართიასასხავსევროპისადგილობრივიდარეგიონულიხელისუფლებებისვალდებულებას, გამოიყენონუფლებამოსილებებიდათანამშრომლობისშესაძლებლობებიმოსახლეობისსაკეთილდღეოდ, გენდერულითანასწორობისმნიშვნელოვნადგაუმჯობესებისმიზნით.

მე, ქვემოთ ხელმომწერი, ..... (ხელმომწერის სახელი)

თანამდებობა .....

..... (ადგილობრივი/რეგიონული ხელისუფლების სახელწოდება)

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ზემოთ ხსენებულმა ორგანომ ოფიციალურად განაცხადა თანხმობა, შესრულოს ევროკული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ და დაიცვას მისი დებულებები და მე გამაჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით მისი სახელით მოქმედების უფლებამოსილება.

ხელმოწერა .....

თარიღი .....

თანახმა ვარ აღნიშნული ხელმოწერილი და შევსებული ფორმის ასლი გაგზავნოს ევროპის მენიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოში, რომელიც გახლავთ ქარტიის შემქმნელი და მაკოორდინირებელი ორგანო, მისამართზე:



**ევროპის მენიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს გენერალური მდივანი**

Square de Meeûs,  
B-1000 ბრიუსელი  
ბელგიის სამეფო

charter@ccre-cemr.org





Local & Regional Europe  
L'Europe locale & régionale

## BRUSSELS

1, Square de Meeûs  
1000 Brussels  
tel. : + 32 2 511 74 77  
charter@ccre-cemr.org  
cemr.eu  
charter-equality.eu

[twitter.com/ccrecemr](https://twitter.com/ccrecemr)  
[twitter.com/cemr\\_equality](https://twitter.com/cemr_equality)



Co-funded by  
the European Union